ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

745ს/112 29
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის პარასკეობით

№ 17 (73)

1 მაისი, პარასკევი, 1992 წ.

## ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ვადა არ გასულია

(ღია წერილი გაზეთ „საქართველოს" რედაქციას)

17 აპრილის (№ 15) გაზეთ „საქართველო"-ში თქვენ გამოაქვეყნეთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა მსოფლიოს ქვეყნების პრეზიდენტებისა და მთავრობებისადმი. იქვეა გამოქვეყნებული რედაქციის კომენტარი, სადაც მკითხველს თვალებში ნაცარს აყრით. კომენტარში წერთ: „ზემოთ გქონდათ საშუალება დაგენახათ, თუ რისთვის იღწვის თავად ექსპრეზიდენტი დღეს — ყველანაირად ცდილობს, რათა შეუშალოს ხელი საქართველოს საერთაშორისო აღიარებას, მსოფლიო ინტეგრაციის პროცესში მის ჩართვასა და მდგომარეობის საბოლოო სტაბილიზაციას".

ჯერ ერთი, ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო ვადა არ გასულია, არც გადამდგარა და არც ხალხს გადაუყენებია რეფერენდუმით. ამიტომ ის ექსპრეზიდენტი კი არაა, არამედ პრეზიდენტია და ამადვე დარჩება ვიდრე საქართველოს კანონიერი პარლამენტი არ გადაწყვეტს მის ბედს. მეორე: ზ.გამსახურდიას მიმართვაში წერია შემდეგი: „საქართველოს კანონიერი მთავრობისა და პარლამენტის სახელით გთხოვთ, ნუ სცნობთ შევარდნაძის რეჟიმს და ნუ დაამყარებთ მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას, სანამ საქართველოში არ აღდგება კანონიერი კონსტიტუციური ხელისუფლება". როგორც ხედავთ, ნაცარი საშენ[illegible]ტანი სუსტი იარაღია. რადგან ნათლად ჩანს, რომ ზ.გამსახურდია საქართველოს საერთაშორისო აღიარების წინააღმდეგი კი არაა (მას თავის ცხოვრებაში სხვა მიზანი არ ქონია), არამედ იმ სახეშეცვლილი ხუნტის ცნობისა, რომელმაც რუსის ჯარის, კრიმინალური ელემენტებისა და დაბნეული და მოტყუებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილის დახმარებით გადაწვა და აიოხრა რუსთაველის გამზირი, საახალწლო ნაძვის ხის მაგივრად კუბოები და გლოვა შეიტანა მრავალი ქართველის ოჯახში, დაარბია და აიკლო დასავლეთ საქართველო, დახვრიტა მშვიდობიანი მომიტინგეები.

რაც შეეხება „მდგომარეობის საბოლოო სტაბილიზაციას" სწორედ ამისთვისაა გამიზნული ეს მიმართვა, რადგან მხოლოდ კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენით შეიძლება მისი მიღწევა და არა ტანკებითა და ავტომატებით.

და ბოლოს, ყოფილი ოპოზიცია ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ურცხვად იყენებდა სიცრუესა და დეზინფორმაციას, წელებზე ფეხს იდგამდა თეთრის შავად და პირიქით, წარმოჩენისათვის. დღესაც ამ ხერხის ერთგულნი არიან, რამეთუ სიმართლე მათთვის იგივეა, რაც ღამურასათვის სინათლე. ამ თეთრისა და შავის აღრევაში თავისი წვლილი შეჰქონდა და შეაქვს თქვენს გაზეთს. ჩვენი წერილი გვინდა დავუპირისპიროთ თქვენი ლიდერის ნ.ნათაძის ამავე ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატიის სათაურით „ნუთუ მართლა ბნელა?"

ამ წერილს, რა თქმა უნდა, არ გამოაქვეყნებთ, მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვიქნებით, თქვენ რომ გაეცნობით. ხალხმა კი ისედაც იცის ყველაფერი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:

გურამ მუმლაძე, ვალერიან ახვლედიანი, ნოდარ კოდუა, არტურ სულამანიძე, ციური დარჩიშვილი, გივი გავაშელი, გივი მცხეთაძე, ლია მიქაძე, თამაზ ბაბუნია, ნიკო ბოჭუჩავა, გრიგოლ ხურციძე, იური კვირიკაძე, თენგიზ ლომაია, ქ ენია ჯიბანია, ლ. კოტიაშვილი, ოთარ შალამბერიძე, კოტე ხახანაშვილი, ალექსანდრე თენიეშვილი, ოთარ მაისურაძე, ოთარ გოგავა, გივი კურტანიძე, ვიქტორ ასლამაძე.

### რედაქციისაგან:

ტექნიკური უნივერსიტეტის პატივცემულო პროფესორ-მასწავლებლებო, თქვენი წერილი, როგორც ხედავთ, გამოვაქვეყნეთ...თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველგვარი რისკის გარეშე. სარისკო საქმე ამ დროშიც სწორედ იმგვარი წერილების გამოქვეყნება გახლავთ, რომელნიც თქვენ და თქვენი ჭკუის ხალხს არ მოგწონთ...

თქვენს სინდისზე იყოს მტკიცება იმისა, თუ რამდენად ვასაღებთ ან ვასაღებდით თეთრს შავად და შავს თეთრად ახალსა თუ ძველ დროში...

ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად დარჩება, ვიდრე საქართველოს კანონიერი პარლამენტი გადაწყვეტს მის ბედსო, შენიშნავენ ავტორები. ერთი რამ „ავიწყდებათ" პატივცემულ პროფესორ-მასწავლებლებს: პარლამენტმა ხომ მოახერხა და პრეზიდენტის გადაყენების მექანიზმიც კი ვერ(არ) შეიმუშავა! გარდა ამისა, ძალიანაც რომ მოინდომოს ზ.გამსახურდიას „ბედის გადაწყვეტა", ამას ვერ გააკეთებს; და იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელი მას დაითხოვს (აი,ზ.გამსახურდიასთვის ამ უფლების მინიჭება კი მოახერხა პარლამენტმა!).

ზ.გამსახურდია საქართველოს საერთაშორისო აღიარების წინააღმდეგი არააო, გვარწმუნებენ ავტორები. ამგვარ შემთხვევაზე იტყვიან, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. დავიჯეროთ, პროფესორ-მასწავლებლებმა (და ბ-ნმა გამსახურდიამ) არ იციან, რომ დიპლომატიური ურთიერთობა „რეჟიმთან", „ხუნტასთან" კი არა, სახელმწიფოსთან მყარდება?! ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გერმანიამ, საბერძნეთმა, ნიდერლანდებმა და სხვებმა ვისი დამოუკიდებლობა სცნეს, „შევარდნაძის რეჟიმისა", „სახეშეცვლილი ხუნტისა" თუ საქართველოსი?! ვისთან დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა, „რეჟიმ-ხუნტასთან" თუ საქართველოსთან?! „ნუთუ მართლა ბნელა"?! ასე რომ, თავისი მიმართვით ბ-ნი გამსახურდია სწორედაც რომ ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს საერთაშორისო აღიარებას, მსოფლიო ინტეგრაციის პროცესებში მის ჩართვას და მდგომარეობის საბოლოო სტაბილიზაციას.

სამწუხაროა პროფესორ-მასწავლებლების ესოდენი მონდომება, წელებზე ფეხის დადგმა „თეთრის შავად და პირიქით, წარმოჩენისთვის"!

ერთი კია, ზ.გამსახურდიას საქართველოს დამოუკიდებლობა, იმ შემთხვევაში, თუ თავად იქნება პრეზიდენტი, მართლაც სურს. უმისოდ კი, როგორც ჩანს, ფიქრობს, ქვა ქვაზე აღარ დარჩენილაო.

ამაზე მეტყველებს აღნიშნული მიმართვაც და ის დივერსიებიც, რომელიც ყოველდღე ხდება მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით.

ყოველივე ამას გწერთ არა ამ მთავრობის ერთგულების, არამედ საქართველოს ერთგულების გამო.

თქვენ კი, როგორც ჩანს, ერთი პიროვნების ბედი უფრო გაღელვებთ (რომლის ბედისადმი სხვათა შორის არც ჩვენ ვართ გულგრილნი), ვიდრე საქართველოსი. საწუხარ არის ესე, ძვირფასო პროფესორ-მასწავლებლებო...

## დღეს ნომერში:

თამარ არაბული: მწერალი ცრუობს — მე-2 გვ.

ილია ბარამიძე: ისევ ხუნტა და მის აგენტებზე — მე-2 გვ.

[illegible] ხუცურაული: პრეზიდენტის შესახებ ([illegible]) — მე-3 გვ.

სოლომონ ხუციშვილი: სენსაციური [illegible] — მე-? გვ.

## საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომაზე

29 აპრილს გაიმართა სსფ დარბაზის სხდომა. საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის გადაწყვეტილებით მაისის თვეში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

ვინაიდან საქართველოს სახალხო ფრონტის მომავალი პოლიტიკური კურსის განსაზღვრისათვის აუცილებელია დაზუსტდეს დღევანდელი ხელისუფლების პირობებში რა როლს შეასრულებს სახალხო ფრონტის მოსაზრებები სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპულ საკითხებში, ეთხოვოს სსფ-ს შემდეგ წევრებს სახალხო ფრონტის დარბაზის წინაშე წარსდგნენ ანგარიშით განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ:

ნოდარ ნათაძე — საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, ცხინვალის რაიონის პრობლემათა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო თემა — მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში. ქკოპენჰაგენში გაეროს ეგიდით მოწვეული, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენციის შედეგები.

რომან გოცირიძე — დროებითი მთავრობის ვიცე-პრემიერი, სსფ დარბაზის წევრი.

საანგარიშო თემა — რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები.

პაატა კოლუაშვილი — მიწის რესურსების და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; სსფ დარბაზის წევრი.

საანგარიშო თემა — მიწის რეფორმები და მისი პრობლემები.

დავით არევაძე — მრეწველობის მინისტრის მოადგილე; სსფ დარბაზის წევრი.

საანგარიშო თემა — სამრეწველო საქმიანობის თავისებურებანი რეფორმების პირობებში.

თემურ ნერგაძე — სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი.

საანგარიშო თემა — ინფორმაცია პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის შესახებ.

ნოდარ გრიგალაშვილი — გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი; სსფ დარბაზის წევრი.

საანგარიშო თემა — მოხსენება გაზეთ „საქართველოს" მუშაობის შესახებ.

თამაზ გამყრელიძე — სახელმწიფო საბჭოს წევრი; სსფ დარბაზის წევრი.

ლევან მესხი — სახელმწიფო საბჭოს წევრი; სსფ დარბაზის წევრი.

საანგარიშო თემა — ინფორმაცია სახელმწიფო საბჭოს სხდომების შესახებ.

გია ბეგიაშვილი — სსფ დარბაზის წევრი; ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.

საანგარიშო თემა — ეკოლოგიური კომისიის მუშაობის ანგარიში.

მოსმენილი იქნება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში სსფ წარმომადგენელთა ინფორმაცია ადგილებზე დროებითი მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ.

დარბაზის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე განხილული იქნება დროებითი მთავრობის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკის საკითხები.

მაისის ბოლოს ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის კონფერენცია.

ინფორმაციას ზემოჩამოთვლილ საკითხების შესახებ გამოვაქვეყნებთ.

## ინფორმაცია

ქურთული მხარის ცნობით თურქეთში შეიარაღებულ კონფლიქტში დაღუპულია 6 ათასი ქურთი და დაჭრილია 20 ათასი. ქურთებმა მოკლეს 2 ათასი თურქი, დაჭრილია 3 ათასი. მოკლულია ქალაქ იზმირის მერი და ქალაქ ანკარის კომისარი.

აფეთქებულია 3 აეროპორტი — მერზინში, დიარბექრსა და სტამბოლში. აფეთქებულია ერთი ქურთული სკოლა, რის შედეგადაც დაიღუპა 10 ბავშვი. ამ დღეებში მოსკოვში, თურქეთის საელჩოსთან გაიმართება საპროტესტო აქცია, რომელშიც თანამეგობრობის ქვეყნების ქურთებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში მცხოვრები ქურთები.

*

როგორც იქნა, დასრულდა საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი უზენაესი საბჭოს მიერ „ერთხმად" მიღებული დადგენილების ძალმოსილება, რის საფუძველზეც შიდა ქართლში შეყვანილი იქნა სსრკ შინაგანი ჯარები. თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ სიტყვა — „ერთხმად" იხმარეს მაშინდელი პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა, რაც გააპროტესტა ბატონმა ნოდარ ნათაძემ და ტელევიზიის საშუალებით განაცხადა, რომ ამ დადგენილებას მან ხელი არ აუწია და სიტყვის „ერთხმად" ხმარების უფლება არავის ჰქონდა. დიახ, შიდა ქართლიდან გაყვანილი იქნა უცხო ქვეყნის შინაგანი ჯარი, რომელიც კონფლიქტის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ 29 აპრილს მერაბ კოსტავას ეზოში ჩატარებულ მიტინგზე, რომელიც ახლადშექმნილმა ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტმა გამართა, ამ ფაქტს უარყოფითი შეფასება მიეცა.

# ისევ სუკსა და მის აგენტებზე ანუ კართაგენი უნდა დაინგრეს

ილია ბარამიძე

თემას, რომელსაც ამ წერილში შევეხები, სხვადასხვა დროს ერთი სტატია და ორი ინტერვიუ მივუძღვენი და არცთუ შემთხვევით. ვიცოდი, ყოფილი სუკისა და მისი აგენტურის საქმიანობა ოდესმე აქტუალური გახდებოდა და მის არასწორ გაგებას შეეძლო ზიანი მოეტანა ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის, მაგრამ ამაზე წერას აღარ ვაპირებდი ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მკითხველს არ ეფიქრა, რომ სუკში თავისი წარსული მუშაობის ფაქტი სასპეკულაციოდ გაუხდიაო. მეორე, კიდევ იმიტომ, რომ ჩემს ყოფილ კოლეგებთან საუბარში რამდენიმემ გადმომკრა კიდეც, სუკზე წერას მოეშვიო. მოგეხსენებათ, საყვედური იმ პირთაგან, რომელთაც სსრკ ყოფილი სუკის ინტერესების დაცვა უფრო ღირსეულ საქმედ მიაჩნიათ, ვიდრე კოლონიალიზმის უღლიდან ახალთავდაღწეული საკუთარი ერის ყურამდე ჭეშმარიტების მიტანა, გულთან მისატანი თუ არა, გასათვალისწინებელი მაინც არის...

მე არ ვეკუთვნი სუკის გაზულუქებულ თანამშრომელთა რიცხვს. ილია ჭავჭავაძის მოძღვრებაზე გაზრდილს არც ლენინური ბოდვებისა მჯეროდა რამე. ამიტომ, როცა სსრკ-ს, ამ სატანისეულ სახლს, ხანძარი გაუჩნდა, მის ჩასაქრობად საცრით ვეზიდებოდი წყალს. სატანა რის სატანაა, თუ ადვილად მოტყუვდა. შურისძიებაც სატანური იცის, მაგრამ ეროვნულმა მოძრაობამ მიშველა. ბატონ თენგიზ კიტოვანის დახმარებით დაზვერვისა და ეროვნული უშიშროების სამმართველოში ჩავირიცხე. პირველი, რამაც ჩემი ახალი შეფები დააინტერესა, სუკის აგენტურის ვინაობა იყო, მაგრამ მე კატეგორიულად განვაცხადე, რომ თუნდაც ერთი მათგანის ჩემგან გაშიფვრის შემთხვევაში, მე, როგორც პიროვნება, მკვდარი ვიქნები, რაც ხორციელ სიკვდილზე უარესია-მეთქი. მეგობრებმა გამიგეს და აღარავინ ცდილა ჩემგან ამ ინფორმაციის მიღებას.

თავიდანვე ზვიად გამსახურდიას პოზიციაზე ვიდექი, თუმცა ჩემს ახლობლებთან ერთად ეროვნული კონგრესის არჩევნებშიც მივიღე მონაწილეობა. ახლაც დიდი მოწიწება მაქვს გამსახურდიასი, როგორც პიროვნებისა, რამაც [illegible] პრობლემა შემიქმნა.

ერთ რამეს ვამჩნევ: დღეს გამსახურდიას ყოფილი აქტიური მხარდამჭერნი ჩრდილში დგანან, ხოლო მის წინააღმდეგ ათწლეულობით მებრძოლნი ისე გრძნობენ თავს, როგორც კალმახები არაგვში. ვისაც ლოგიკის სახელმძღვანელოში ერთხელ მაინც ჩაუხედია, ერთ ფორმულას დაიხსომებდა: ყველა პეტრე კაცია, მაგრამ ყველა კაცი პეტრე არ არის. ჩვენს შემთხვევაში: ყველა პატრიოტმა ანტიზვიადისტად რომ ჩასთვალოს თავი, ყველა ანტიზვიადისტი ხომ პატრიოტი არ არის. ბევრ ვინმეს, ვინც, ჯერ კიდევ ადრე, ზვიად გამსახურდიას და მისი სახით ეროვნულ მოძრაობას თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ან პოლიტიკური [illegible] გამო ებრძოდა, დღეს ეს ბრძოლა დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივში ჩაეთვალა, ხოლო ისინი, ვინც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მის მხარდამხარ ეროვნული მოძრაობის მძიმე უღელში შეება, დღეს სუკის გენერლებზე ნაკლებად ეროვნულ ხალხად ითვლებიან. ყველაფერს ღმერთი, დრო და ისტორია განსჯის, მე კი ჩემი წერილის მთავარ თემას დავუბრუნდები.

სუკსა და მის აგენტურაზე წერა და ლაპარაკი დღეს ბევრისთვის მომგებიანია, რადგან ეს ის სფეროა, რომელსაც ადრე თვით კომუნიზმის მშენებელ ხალხსაც კი უმალავდნენ. მრავალი სახელმწიფო და პარტიული არქივი ხალხისთვის ხელმისაწვდომი შეიქნა, მაგრამ სუკის მუშაობის არცოდნით გამოწვეული ვაკუუმი მასობრივი შეგნებისათვის მტკივნეული გახდა და საზოგადოება ცდილობს ეს სიცარიელე ათასნაირი ჭორით და დილეტანტური ინფორმაციით შეივსოს. ამან გამოიწვია ხალხში, როგორც ჩემს ერთ-ერთ ინტერვიუში აღვნიშნე, აგენტოფობია. ამ მოვლენას ფსიქოლოგია და ფსიქიატრია ჯერ არ იცნობს, თუმცა იგი საკმაოდ გავრცელებულია ცალკეულ მსოფლმხედველობრივ, სოციალურ თუ ეროვნულ ჯგუფებში, განსაკუთრებით კი ლიტველებსა და ქართველებში. ამ სენით დაავადებულს აგენტის შიში არ ასვენებს, ყველგან და ყოველთვის მას ეძებს. მისთვის აგენტია ყველა, ვინც მის აზრს არ იზიარებს, შენიშვნას აძლევს, არ თანაუგრძნობს, თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, აგენტი პირიქით უნდა იქცეოდეს.

სპეცლიტერატურაში აგენტი განმარტებულია როგორც პიროვნება, რომელიც ფარულად თანამშრომლობს დაზვერვის ან კონტრდაზვერვის ორგანოებთან და ასრულებს მათ დავალებებს დაზვერვითი ან კონტრდაზვერვითი ამოცანების გადასაწყვეტად. ქვეყნის შიგნით მოქმედ აგენტს, როგორც წესი, გასამრჯელო არ ეძლევა, სამხედრო წოდება არ ენიჭება და არავითარი პრივილეგიებით არ სარგებლობს. მისი თანამშრომლობის მოტივია იმის შეგნება, რომ მის დახმარებას სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, იდეისათვის ან ორგანიზაციისათვის, რომელსაც ის ეკუთვნის ან თანაუგრძნობს. აგენტს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი განაცხადოს არა მარტო ცალკეულ დავალებათა შესრულებაზე, არამედ თვით თანამშრომლობაზეც, რასაც არ შეიძლება მოჰყვეს მის მიმართ რაიმე სანქციები. ერთადერთი გარანტია, რომელსაც აგენტს სუკი აძლევდა, ეს იყო მისი გაუშიფრაობა. ამ საქმეს დაცვის მთელი 'სისტემა' ემსახურებოდა (ფსევდონიმები, კონსპირაციული შეხვედრები, დაშიფრული დოკუმენტაცია და ა. შ.). აგენტს ეკრძალებოდა ყოველგვარი ღია კონტაქტი, თვით მისალმებაც კი, სუკის თანამშრომელთან. ასევე უნდა მოქცეულიყო სუკის თანამშრომელიც პირთან, რომლის შესახებაც მან იცოდა, რომ ის აგენტი იყო. აგენტს არ შეეძლო მოსულიყო სუკის შენობაში, სუკის თანამშრომელს — აგენტის ბინაში. ამ და სხვა საკითხებით დაინტერესებულ პირებს ვურჩევდი თვალი ადევნონ მოსკოვურ პრესას (მაგ., გაზ. „მოსკოვსკიე ნოვოსტი", № 13, 29.III.92 წ.).

რამდენიმე დღის უკან ერთმა მეგობარმა ტიპოგრაფიული შრიფტით დაბეჭდილი ორი საგაზეთო ფურცელი, როგორც მითხრა, პრეზიდენტის მომხრეთა გაზეთის „ქართული აზრის" ნაწილი მაჩვენა და მითხრა, ეს რა ორგანიზაცია ყოფილა სუკი, ერიც ის ყოფილა და ღმერთიც, რადგან თითქმის ყველა ერისკაცი და ღვთისმსახური, თურმე, მას ემსახურებოდაო. ფურცლები ჩავათვალიერე და განვცვიფრდი. პირველად გავიგე, რომ ქართული ეკლესიის თითქმის ყველა მღვდელმთავარი (ღმერთო, ნუ მიწყენ!), სუკის აგენტი ყოფილა. იქვე რამდენიმე საერო პირიც ფიგურირებდა: რამაზ კლიმიაშვილი, გურამ მამულია და ლევან ღვინჯილია. ჩემი, სუკში ლეიტენანტიდან პოდპოლკოვნიკამდე გზაგავლილი კაცის, დაჯერება არც ისე ადვილია, მაგრამ თქვენ როგორ არ დაიჯერებთ, მკითხველო, მაშინ, როცა იქვეა დაბეჭდილი იმ სააღრიცხვო ბარათების ფოტოასლებიც, რომლებსაც მართლაც ვავსებდით გადმობირებულ აგენტებზე. ბარათების ატრიბუტიკაც ადგილზეა (ფსევდონიმი, პირადი საქმის ნომერი, გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და ადგილი, გადმობირების თარიღი, გადმომბირებლის გვარი და განყოფილების უფროსის ხელმოწერა). მაინც რა ხდება? ნუთუ ყველა აქაც, იქაც, ყველგან აგენტია?

ზემოთ მოგახსენეთ და ჩემს ინტერვიუშიც აღვნიშნე, სუკი თავის აგენტურას გაუშიფრაობის გარანტიას აძლევდა-მეთქი. მე არ ვამტკიცებ, რომ სუკს აგენტები არ ჰყავდა სამღვდელოებაში, მწერლებში, პარტიებში, მოძრაობებში, პრეზიდენტის მომხრეებში და მოწინააღმდეგეებში, თანაც ყველა ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად როდი იყო მიმართული, მაგრამ ე.წ. კარტოთეკაში (არ ვიცი მისი რა ნაწილია გამომქვეყნებელთა ხელში) მე სწორედ აგენტის დაშიფრვის მცდელობას ვხედავ. იცით, სად შეიძლება საიმედოდ დამალოთ ქვა? — ქვების გროვაში. ეს ჩეკაზე უკეთ ვინ იცოდა. ახლა კარტოთეკა ვფურცლოთ და ვარკვიოთ, ვინ არის ნამდვილი აგენტი და ვინ — „ქვების გროვა". ყველა მათგანი რომ აგენტი არ ყოფილა, შევეცდები ორიოდე მაგალითით დაგიმტკიცოთ.

ლევან ღვინჯილიას უნივერსიტეტში ერთად სწავლის პერიოდიდან ვიცნობ. პატიოსანი ბიჭი იყო, ჭკვიანი, კეთილი. ჩემი ლექსები ზეპირად იცოდა, რამაც დაგვამეგობრა კიდეც. 1980 წელს, თბილისში რომ დავბრუნდი, ძველი კეთილი ურთიერთობები აღვადგინეთ და ამას არც ვმალავდით. ბინაც იქვე, უკრაინკას ქუჩაზე, ზედ სუკის შესასვლელთან მისცეს და სამსახურიდან გამოსული შევუვლიდი ხოლმე. თქვენ ფიქრობთ აგენტი იყო და კონსპირაციის მოთხოვნებს უგულებელყოფდა? მე იმ ქვეგანყოფილების უფროსი ვიყავი, რომელიც ინტელიგენციით იყო დაკავებული და მე ხომ უნდა მცოდნოდა, რომ ის აგენტი იყო? ღირდა კი ჩემთვის მარჩენალი სამსახურის რისკად მასთან ასეთი ღია ურთიერთობა? ან იქნებ ისეთი ვინმე გამოჩნდეს, ვინც იტყვის სუკმა შემავიწროვა და, აი, ლევან ღვინჯილიაზე მაქვს ეჭვიო. ვნახოთ.

გურამ მამულია, პირწავარდნილი ანტიკომუნისტი და ნაციონალისტი, თამარ ჩხეიძის ჯგუფის ყველაზე აქტიური წევრი და სუკის დამუშავების ობიექტი იყო. ბარათის თანახმად, 1962 წელს გადმოუბირებიათ აგენტად. მახსოვს, 1982 წელს სუკში დაიბარეს. ელემენტარული, მაგრამ ჩვენთვის საჭირო კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი. რიგრიგობით ხუთი კაცი ესაუბრა მისთვის უდავოდ ცნობილ საკითხზე, მაგრამ სიტყვა ვერ დააცდენინეს. ბოლოს ჩემთან შემოიყვანეს. დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე. ვერაფერს გავხდი და შინ გავუშვი იმ პირობით, რომ ჩვენთან ყოფნის ფაქტისა და საუბრის შინაარსის შესახებ არავის არაფერს ეტყოდა. იმ დღესვე მოუყვა ყველაფერი ჯგუფის წევრებს. როგორ ფიქრობთ, ჩვენ, „სუკის მგლებმა" დავარღვიეთ კონსპირაციის წესი და სუკის შენობაში აგენტი გამოვიძახეთ? აგენტმა გაგვცა ჩხეიძის ჯგუფში, სუკში დამიძახეს და ამასა და ამას მეკითხებოდნენო? განსაჯეთ!

რამაზ კლიმიაშვილსა და ღვთისმსახურებს პირადად არ ვიცნობ და თავს ვიკავებ, თუმცა საეჭვოა მათზეც წერდნენ მართალს...

ასე რომ, „აგენტთა" 99 პროცენტის აგენტობის დადგენა დოკუმენტურად ფრიად საეჭვოა, თუ ხელთ არა გაქვთ მისი ხელით დაწერილი რაიმე შეტყობინება. რჩება ოპერატიული თანამშრომელი, რომელმაც აგენტი გადაიბირა, მაგრამ ეს უფრო საეჭვოა, რადგან მას შეუძლია, გარკვეული მოსაზრებებით, ხელი დაადოს ვისაც გნებავთ, ეს კაცი ჩემი აგენტი იყოო, მაგრამ ამას ვერაფრით დაამტკიცებს, ისევე, როგორც ამის ჩამდენ ოპერატიულ თანამშრომელს ნებისმიერმა კაცმა შეიძლება ცხვირი მიამტვრიოს, მაგრამ ვერაფრით ვერ დაამტკიცებს, აგენტი არ ვიყავიო. სუკი ლავრენტი ბერიას აღზრდილია და მასწავლებელმა იცოდა თავისი საქმე.

ასე თუ ისე, მოხდა რაც არ უნდა მომხდარიყო. ჩადენილია გაუგონარი დანაშაული, რამაც შეიძლება შეურაცხყოს და საზოგადოებაში ავტორიტეტი დაუკარგოს ათასობით პატიოსან ადამიანს, გულანთებულ პატრიოტს, რაც თვით იმ საქართველოსაც არ მოუტანს სიკეთეს, რომელზედაც პრეზიდენტი ოცნებობს.

საქართველოს სუკი ბატონი ზვიადის მმართველობის დროს პრეზიდენტის გულმხურვალე მხარდამჭერი იყო. ამაზე მეტყველებს იმ პერიოდში სუკში გამართული კრებები, შეხვედრები და თუნდაც კარტოთეკის პრეზიდენტის მომხრეთა ხელში მოხვედრის ფაქტი. დღეს სუკი სახელმწიფო საბჭოს ერთგული მხარდამჭერია. ხვალ რას ინებებს?

ვფიქრობ, უწყება, რომელიც სხვათა საიდუმლოებების დასაცავადაა მოწოდებული და საკუთარი საიდუმლოს დაცვასაც ვერ უზრუნველყოფს, უნდა გაუქმდეს და მის ბაზაზე ახალი შეიქმნას. კართაგენი უნდა დაინგრეს!

ბატონო რედაქტორო!

მასალა მიტინგისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გამოცხადდა — ყოველ მსურველს შეუძლია პრესით, ტელევიზიით და რადიოთი სარგებლობა, გადავწყვიტე ამ მასალის თქვენთან გამოგზავნა იმ იმედით, რომ დამიბეჭდავთ.

მარტი, 1992 წ.

# პრეზიდენტის შესახებ

გ. ხუცურაული

როგორც რეალურმა ცხოვრებამ გვიჩვენა, საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება ალბათ მართლაც ნაჩქარევი და ბოლომდე მოუფიქრებელი ნაბიჯი იყო. ვერც პარლამენტმა და ვერც ხალხმა ვერ გაითვალისწინეს, რომ დღევანდელ საქართველოში არ არსებობს საპრეზიდენტო მმართველობის შეთავსებისათვის საჭირო საზოგადოებრივი ცნობიერების, პოლიტიკური შეგნებულობისა და პოლიტიკური კულტურის დონე. უთვალავი, განსხვავებული კონცეფციების მქონე პოლიტიკურად წოდებული ჯგუფების თუ გაერთიანებების და უსაშველოდ დიდი პრეტენზიების მქონე პრორუსული, პროკომუნისტური, ნალოლიავები და პრივილეგიებს ნაჩვევი ინტელიგენციის რეალურად არსებობის პირობებში საპრეზიდენტო მმართველობა საქართველოში მართლაც შეუძლებელია. ეს შეუძლებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ ქართული რეაქციული ფსიქიკა, ამბიციური სული და სისხლი ვერ შეურიგდებიან ეროვნული ლიდერის არსებობას, რადგანაც ყველას თუ არა, ნაწილს მაინც მიაჩნია თავი ამ ლიდერობის ღირსად. ამიტომაც იყო, რომ პრეზიდენტის არჩევის პირველი თვიდან ზემოხსენებულმა ძალებმა ააგორეს დესტრუქციულ და მადესტაბილიზებელ ქმედებათა პერმანენტული ტალღები, შექმნეს პრეზიდენტსა და პარლამენტზე დაწოლის ჯოჯოხეთური მექანიზმი, რომლის წინაშეც ცნობილი 87 პროცენტი პრეზიდენტის მომხრეებისა აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა. პრაქტიკულად მათ ვერაფერი ვერ გააწყეს სპეციალურად გაწვრთნილ, კბილებამდე შეიარაღებულ, რეგულარულ სამხედრო ფორმირებებთან, რომელნიც სისხლით სისხლთაგანი და ხორცით ხორცთაგანი, საერთო პირმშონი იყვნენ და არიან პრეზიდენტის დასამხობად გაერთიანებული ყველა ძალებისა.

იყო თუ არა პრეზიდენტი დიქტატორი — ამაზე პასუხს ისტორია და შესაბამისი დარგების სპეციალისტები გასცემენ. ჩვენის აზრით კი იგი უფრო მსხვერპლია გაუთავებელ ანტისაპრეზიდენტო კომპანიაში მონაწილე ძალების დიქტატურისა, ვიდრე ამ თვისების მატარებელი და განმასახიერებელი; დესტაბილიზაციის, დესტრუქციისა და პოლიტიკური ობსტრუქციის უწყვეტმა და ახალ-ახალმა ნაკადებმა პრეზიდენტი თავისი ახალი უფლებამოსილების პირველსავე ხანებში გამოიყვანეს წონასწორობის მდგომარეობიდან და შეუქმნეს იმის შეგრძნების კომპლექსი, რომ გარემოცულია მტრებით. ამიტომ მან დაკარგა კონტროლი თავის მოქმედებაზე, დაიწყო შეცდომების შეცდომებზე დაშვება. ამას თუ დავუმატებთ ომს ოსებთან, პოლიტიკურ აშლილობას აფხაზეთში, იმპერიის საინფორმაციო კორპორაციის მიერ წარმოებულ საერთაშორისო მასშტაბის ანტიქართულსა და ანტისაპრეზიდენტო პროპაგანდისტულ კამპანიას, ცხადი გახდება, თუ ფსიქიკურ და ფიზიკურ ძალთა რა ტიტანურ დაძაბვად უჯდებოდა ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის ყოველი დღე და ყოველი საათი. მის ადგილას ვინმე სხვა ასეთ დაწოლას ალბათ ვერ გაუძლებდა და მიატოვებდა პოსტს, მაგრამ მას, როგორც გამოუსწორებელ პოლიტიკურ რომანტიკოსს, ღრმად სწამდა, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების გამოყენებით შესძლებდა ბავშვობიდანვე ნაოცნებარი იდეალის — საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევას. ამადაც ებღაუჭებოდა ძალაუფლების შტურვალს ასეთი თავგანწირვით.

სამწუხაროდ მას არ აღმოაჩნდა ჩვენი ურთულესი და უმძიმესი დროის შესაფერისი პრეზიდენტისათვის აუცილებელი რიგი თვისებებისა — დიპლომატობა, მოქნილობა, მანევრულობა, ალღოიანობა, სხვათა აზრის გამზიარებლობა, სათქმელის მოზომვა, პოლიტიკური ტაქტიანობა და დახვეწილობა. მაგრამ მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ჭეშმარიტი ტრაგედია მაინც იმაშია, რომ მიაღწია რა პრეზიდენტობას, ფსიქოლოგიურად კვლავ პოლიტიკურ დისიდენტად დარჩა, ვერ შესძლო დისიდენტის ცნობიერების ტრანსფორმირება პრეზიდენტის ცნობიერებად. ამიტომაც არ გამოსდიოდა ლაპარაკი არა თუ მსოფლიო პოლიტიკის ისეთ გრანდებთან, როგორიცაა ბეიკერი, შევარდნაძე და გორბაჩოვი, არამედ თავის პოლიტიკურ ოპონენტებთანაც კი. მისი მეტყველება უხვად იყო გაჯერებული დისიდენტური გამოთქმებით, შედარებებით, ჟარგონებითა და ეპითეტებით, რაც აბსოლუტურად დაუშვებელია არა თუ პრეზიდენტისათვის, არამედ უფრო დაბალი რანგის პოლიტიკურ მოღვაწეთათვისაც კი. ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერითა და ერთგულებით მეტისმეტად დაიმედებულმა დაივიწყა ის ჭეშმარიტება, რომ რეალური პოლიტიკოსი ის კი არ არის, ვინც ქედმაღლობითა და ამპარტავნობით მეგობრებს მტრად მოიქცევს, არამედ ის, ვინც ტკბილი სიტყვით გველს სოროდან ამოიყვანს, მტერს მოყვარედ მოიქცევს, თავისი მიზნების განხორციელებისათვის გამოიყენებს. ამისი სურვილი რომ ჰქონოდა, მაგალითის საძებნელად შორს წასვლა, ან ისტორიის ანალებში ქექვა არ დასჭირდებოდა, გამოჩენილ ქართველ პოლიტმოღვაწეთა ჯერაც ცოცხალი მაგალითები გამოადგებოდა. არადა შეეძლო, ნამდვილად მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწის დონეზე აზროვნებაც და ლაპარაკიც. მის ბოლოდროინდელ ინტერვიუზე საქართველოსადმი აშკარად არაკეთილგანწყობილი საინფორმაციო სააგენტო წარმომადგენლისადმი ხელს მოაწერდა ნებისმიერი კომპეტენტურად მოაზროვნე დიპლომატი თუ სახელმწიფო მოღვაწე.

შეცდომებისაგან დაზღვეული არცერთი სახელმწიფო მოღვაწე არ არის, მაგრამ მას, სამწუხაროდ ახასიათებდა საბედისწერო შეცდომების დაშვება. შეცდომა № 1 მაინც ქართული ინტელიგენციის ნაწილის მიმართ დაკავებული არასწორი პოზიცია იყო. ეს ინტელიგენცია მას თავის თანაშემწედ და დასაყრდენად უნდა ექცია და მამობრივი მზრუნველობით მოპყრობოდა მას. მან კი ეს ვერ შეძლო, ან არ შეძლო. უცხოეთიდან სპეციალისტთა ჩამოყვანის მუქარითა და ე.წ. „მარქსისტი" მეცნიერების ყოველნაირად დამცირებით მან ღრმად შეურაცხყო არა მარტო მათი პროფესიული ღირსება, არამედ ეროვნული, პატრიოტული გრძნობებიც, რის გამოც მათაც ზურგი უჩვენეს და მის საწინააღმდეგოდ განეწყვნენ.

მიუტევებელი შეცდომა იყო გორბაჩოვისა და შევარდნაძის მიმართ აშკარად მტრული პოზიციის დაკავება და მათი პოლიტიკურ ლეშებად გამოცხადება იმ დროს, როცა მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ საქართველოსათვის მრავალი პრობლემის მოხსნა ან დამატება სამაჩაბლოს ჩათვლით.

შეცდომა იყო მშვიდობიანი მანიფესტანტებისათვის რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული რაზმის მისევა 1991 წ. სექტემბერში. შესაძლოა პრეზიდენტმა მართლაც არაფერი იცოდა ამის შესახებ, მაგრამ მისმა მოწინააღმდეგეებმა ეს ფაქტი დროშასავით აიტაცეს და დესტაბილიზაციისათვის გამოიყენეს.

დაუშვებელი იყო მთავრობის სასახლის წინ მდებარე მოედნის გადაკეტვისა და ავტობარიკადების მოწყობის მანკიერი პრაქტიკაც. ამან გააძლიერა პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა პოზიციები, მისცა მათ საბაბი ადეკვატური ქმედებისათვის, მთავრობის დისკრედიტირებისათვის.

იგივე შეფასება შეიძლება მიეცეს ზღვისპირას დაბანაკებული შეიარაღებული ფორმირების მიმართ დაკავებული პასიური მეთვალყურის პოზიციასაც. პრეზიდენტს და მთავრობას არა თუ მარტო კონსტიტუციური უფლება ჰქონდათ, არამედ ვალდებულნიც იყვნენ მოეხდინათ ამ ფორმირების ბლოკირება, განიარაღება და დაშლა, მაგრამ გამბედაობა არ ეყოთ ამ კანონიერი აქციის განხორციელებისათვის, ეს იყო სახელმწიფო ხელისუფლების უსუსურობისა და უმწეობის აპოთეოზი.

შეცდომების ჩამოთვლა და დაფიქსირება დიაღაც რომ ადვილია, ძნელია ისეთი სიტუაციების ჩამოყალიბება, რომლებიც გამორიცხავდნენ ამ ტრაგიკული შეცდომების დაშვებას. ცივილიზებულ სამყაროს ქვეყნების საზოგადოებრიობა თავისი ოპოზიციურ-მამხილებელი საქმიანობით აწარმოებს სახელმწიფო მოღვაწეთა აღზრდას, წარმართავს მათ მოქმედებას სწორი, კონსტრუქციული გზით. ყოველივე ამის სანაცვლოდ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მიმართ ავირჩიეთ დისკრედიტაციისა და ლანძღვა-გინების მეთოდი. დიდი ცოდვა კი ჩავიდინეთ. ისტორია ამას არ გვაპატიებს. თავისი ხანმოკლე პრეზიდენტობის მანძილზე ზ. გამსახურდიას არ ჩაუდენია და არც შეეძლო ჩაედინა ისეთი დანაშაული ან ქმედება, რომ ღირსი ყოფილიყო თოფ-ზარბაზნების დაშენისა. პოლიტიკური კრიზისი რესპუბლიკაში ისეთ წერტილზე იყო მისული, რომ უნდოდა თუ არა, იგი აუცილებლად უნდა გადამდგარიყო. შესაძლოა საჭირო იყო მხოლოდ მშვიდობიანი ზემოქმედების გაძლიერება, ამიტომ დანაშაულებრივია იმ ძალების ქმედება, რომელთაც დეკემბრის იმ საბედისწერო დღეებში ომი დაიწყეს, დედაქალაქის გული დაანგრიეს, ხალხი გაჟლიტეს და ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანეს, რასაც ასეულობით უდანაშაულო ქართველი შეეწირა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებშიც.

თუნდაც ერთი წუთით რომ დავიჯეროთ ბლეფი იმის შესახებ, თითქოს პირველი გასროლები მთავრობის სახლიდან გაისმა, ეს ომის საბაბს მაინც არ იძლეოდა; მთავრობას ჰქონდა მეამბოხეებისაგან თავდაცვის კონსტიტუციური უფლება.

რუსებს აქვთ ანდაზა — რაც უფრო ღრმად შეხვალ ტყეში, მით უფრო მეტ შეშას ნახავო. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შესახებაც: რაც უფრო ჩაღრმავებით ანალიზს, მით უფრო სრულად წარმოგვიდგება სურათი ჩვენი ეროვნული ტრაგედიისა. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღეს დეტალური ანალიზის დრო არ არის. დღეს ჩვენი ისტორიული ამოცანაა სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზირება, ძმათა მიერ ურთიერთკვლის შეჩერება. ამ მიზნით ქართველ საზოგადოებრიობას ვთავაზობთ მდგომარეობის სტაბილიზაციის ისეთ კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს კონფრონტაციაში მყოფ პოლიტიკურ და სოციალურ ძალთა სრულ ნეიტრალიზაციას შემდეგ პირობათა განხორციელების საფუძველზე:

1. დაუყონებლივ უნდა დაიშალოს იარაღის ძალით დაბადებული სამხედრო ხუნტა, რომელიც ე.წ. სამხედრო საბჭოს სახით ცდილობს თავის არსებობას რაღაც „კანონიერების" სარჩული დაუდოს. ქართველი ხალხი ვერ აიტანს თანამემამულეთა სისხლით ხელებდასვრილი ხუნტის ხანგრძლივად პარპაშს, რომელიც ამავე დროს აბსოლუტურად უკანონო ანტიხალხური და ანტიეროვნული სტრუქტურაა.

2. ხუნტის დაშლისთანავე უნდა გაგრძელდეს პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის ძველი შემადგენლობით ფუნქციონირება, ახალი პარლამენტის რაც შეიძლება უახლოეს პერიოდში არჩევამდე.

3. პრეზიდენტს უნდა მიეცეს უშიშროების აბსოლუტური გარანტია იმისათვის, რომ დაუბრუნდეს მშობლიურ კერას და პარლამენტის წინაშე მოიხსნას თავისი რწმუნებულებანი, რამეთუ ამას მოითხოვს კონკრეტულ-ისტორიული სიტუაცია და საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის აღდგენის ინტერესები. პრეზიდენტს, უნდა ვივარაუდოთ, ესმის, რომ [illegible] უფლებამოსილებით მისი საზოგარეთ ყოფნა შეიცავს უდიდეს საფრთხეს სამოქალაქო მშვიდობისათვის რესპუბლიკაში.

4. უნდა შეწყდეს უმანკიერესი პრაქტიკა პოლიტიკური მოტივებით ადამიანთა მორალურ-პოლიტიკური დევნისა, განქიქებისა, თათხვისა და ლანძღვა-გინებისა. უნდა დაწესდეს საინფორმაციო საშუალებებისა და მეტისმეტად თავგამოდებული ჟურნალისტების იურიდიული პასუხისმგებლობის ნორმები გადაცემისა თუ პუბლიკაციებისათვის, რომლებიც შეიცავენ ე.წ. „პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა" პიროვნების შეურაცხმყოფელ ინფორმაციებს.

5. ე.წ. „ეროვნული გვარდია" უნდა დაიშალოს და ყველა მათგანი უნდა დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს, რამეთუ არ არსებობს იმის გარანტია, რომ ახალ-ახალ უბედურებას არ დაატეხენ თავზე ისედაც გაუბედურებულ სამშობლოს. ერისათვის უდიდეს საფრთხეს შეიცავს „გვარდიის" სარდლობის ამბიციურობაც, რომელიც გამოდის როგორც ერისა და მთავრობის მუდმივი მსაჯული და აქტიურად ერევა პოლიტიკურ ცხოვრებაში ამა თუ იმ ძალთა მხარდასაჭერად. რამდენადაც გვარდიის ხსენება ამიერიდან ქართველის ცნობიერებაში გამოიწვევს იმ ტრაგიკულ დღეთა ასოციაციებს, როცა ძმა კლავდა ძმას. საჯარისო ფორმირების ეს სახეობა უნდა საერთოდ ამოვარდეს შეიარაღებულ ძალთა სტრუქტურიდან. განა რითია ცუდი ჩვენი მილიცია, ან შინაგანი ჯარის ფორმირებები? ხოლო თუ კი ოდესმე დამოუკიდებელნი გავხდებით, დავარქვათ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს „ქართული ჯარი".

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პირობათა მთელი ამ კომპლექსის რეალიზაცია დააკმაყოფილებს პოლიტიკური ბარიკადის ორივე მხარეს მდგომთ, დააშოშმინებს ხალხის ვნებათაღელვას, დასაბამს მისცემს სტაბილიზაციის პროცესის დაწყებას საქართველოში.

ღმერთმაც ინებოს, ამინ!

# მწერალი ცრუობს

5 მარტს, შუაღამისას ვეძისში გაზი მოვარდა. თუ არ ვცდები, თბილგაზის თანამშრომლებმა მოსალოდნელი საფრთხის გამო ტელევიზიით წინასწარ გააფრთხილეს მოსახლეობა. მეზობლებმა გაგვაღვიძეს — გაზი გადაკეტეთ, უბანში ხანძარია გაჩენილიო. ჩვენი საქვაბე მართლაც გავარვარებული იყო. ქვაბი ჩავაქრეთ და გარეთ გავედით. მთელი უბანი ფეხზე იდგა. ბიჭებს რომ არ ეყოჩაღათ, ბევრი სახლი დაიწვებოდა, რამდენიმე კომლი მაინც დაზარალდა... მთლიანად დაიწვა ვაზისუბნის ქუჩაზე მწერალ რევაზ მიშველაძის მშობლებისა და იმედაშვილის ქუჩაზე ა.ნასიბოვის სახლები, სხვების სამზარეულოები, საკუჭნაოები, საქვაბეები.

ჩემთვის ყველაფერი ეს სამწუხარო იყო.

მაგრამ ამ ფაქტის გამო მომდევნო დღეებში პრესით, რადიოთი და ტელევიზიით გავრცელდა ცრუ, ცილისმწამებლური ინფორმაცია... სიცრუე ძალიან მზარავს და ამიტომ გადავწყვიტე პატარა წერილის დაწერა, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე. ჯერ ერთი, მაშინ აღარავინ დაბეჭდავდა ამ წერილს, რადგან სხვა ინფორმაცია უკვე გავრცელებული იყო ხალხში და ამისთვის მაშინ არც არავის ეცალა. თანაც ვიფიქრე, რევაზ მიშველაძე თავად იტყვის სიმართლეს-მეთქი; მეორეც: ამგვარ დაზარალებულებს უფრო ხელს შეუწყობდა დროებითი მთავრობა და ჩემი წერილის გამოქვეყნებას კი შესაძლო იყო დახმარება გაეჭიანურებინა გაჭირვებული ადამიანებისათვის.

იმის შემდეგ მიმავიწყდა კიდეც ეს ამბავი...

24 აპრილის გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა ინტერვიუ მწერალ რევაზ მიშველაძესთან. საიდანაც შევიტყვე, რომ ქალაქის მერიას უკვე „ქმედითი დახმარება" გაუწევია დაზარალებულთათვის, რაც ძალიან გამიხარდა, მაგრამ მეწყინა, რომ მწერალმა ვერც ამ ინტერვიუში შეძლო სიმართლის თქმა.

სამწუხაროა, რომ მწერალი ცრუობს, ცილს სწამებს არარსებულ დამნაშავეებს და ამით ცდილობს თავზე წამებულისა და დევნილის გვირგვინის დადგმას. იგი უმოქმედობისა და უნიათობის გამო კიცხავს ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებსაც: „უნდა ვაღიაროთ ჩვენი ღამსჯელობითი ორგანოების სრული კომპრომისი ბანდიტთა წინაშე. ზვიადის მომხრე „რაინდები" ჩვენ საბოლოოდ მოგვერივნენ, ჩვენ აბსოლუტურად დაუცველნი ვართ, ხოლო ყოფილ ოპოზიციონერთა სახლის დაწვისა და ფიზიკური შეურაცხყოფის უამრავ ფაქტებს გაუხსნელობის ბურუსი ჰფარავს. ალბათ ასეა საჭირო..."

ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, მე, მიუხედავად ჩემი ასაკისა, აღარაფერი მჯერა მწერალ რევაზ მიშველაძისა. აღარ მჯერა იმიტომ რომ მწერალი, თუ კი იგი პატიოსანი ნიჭის პატრონია, სიცრუეს, ცინიზმს, ღვარძლსა და მძულვარებას უნდა განერიდოს.

ინტერვიუ თვითრეკლამის საუკეთესო საშუალებაა და მწერალიც თავის თავზე წერს იმას, რაც ალბათ ძალიან სურდა, რომ სხვებს დაეწერათ, მაგრამ, რადგანაც ასეთი სტატია პრესაში არ გამოჩნდა, თვითონ [illegible] კეთა რეკლამა. ვინც ეს ინტერვიუ წაიკითხა, ალბათ ყველა დამემოწმება.

ერთი შეკითხვით ბატონ ფელიქს კოჭიაშვილსაც მინდა მივმართო: ყველა შეკითხვა, რომლებზეც მწერალმა უპასუხა, მისი [illegible] თუ არ [illegible] ეჭვის საფუძველს კით- [illegible] და შინაარსი იძლ [illegible]

[illegible] ყველა [illegible] ოდიშს გიცდით.

თამარ არაბული

# შავბნელი ჟამის ქრონიკა

## წერილი პირველი

# ჩვენი ტრაგედიის ფესვები

თეიმურაზ მირიანაშვილი

1988 წლის 25 თებერვლის — საქართველოს გასაბჭოების სამოცდამეშვიდე წლისთავის გლოვის დღედ გამოცხადებით დაიწყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელიც ზომირად უკომპრომისო ბრძოლის ეტაპად მოიხსენიება და ჩვენც ასე მოვიხსენიებთ. 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალი ქართველი დარწმუნებული იყო, რომ ორწლინახევრიანი უკომპრომისო ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. მაგრამ რამდენიმე თვეში ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის ნათელი გახდა, რომ მოხდა მხოლოდ სიმბოლოებისა და ფრაზეოლოგიის შეცვლა. ტოტალიტარიზმი შენარჩუნებულ იქნა, თანაც ყველაზე უფრო ოდიოზური, ბუფონადური ფორმით. 1991 წლის შემოდგომიდან დაიწყო რევოლუციური ბრძოლა გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ. 1992 წლის იანვრის დამდეგს ხელისუფლება კიდევ ერთხელ შეიცვალა. ამით დასრულდა უკომპრომისო ბრძოლის ეტაპი. დაიწყო თვისობრივად ახალი ეპოქა. თუ რას მოგვიტანს იგი, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ჩვენი მიზანი ამჯერად არის უკომპრომისო ბრძოლის ეტაპის, ანუ 1988 წლის თებერვალ — 1992 წლის იანვრის პოლიტიკურ პროცესთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობითი და გამოწვლილვით ანალიზი.

ოთხწლიან ბრძოლაში ჩაბმული იყო არსებითად ყველა პოლიტიკური პარტია, ორგანიზაცია, დაჯგუფება, უთვალავი ადამიანი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართველი ერი მთელი თავისი შინაგანი ძალების მობილიზაციებით ჩაება ბრძოლაში და უდიდესი მსხვერპლიც გაიღო. უკომპრომისო ბრძოლამ გამოიწვია დიდი ნგრევა, ცხოვრების ჩვეული რიტმის მოშლა და, რაც მთავარია, მრავალი ადამიანის დაღუპვა.

უკომპრომისო ბრძოლას იმთავითვე დიდი იმედითა და აღფრთოვანებით შეეგება ჩვენი საზოგადოებრიობა. მოგვიანებით (განსაკუთრებით ეროვნულ მოძრაობაში 1990 წლის გაზაფხულზე მომხდარი განხეთქილების შემდეგ) გაჩნდა კრიტიციზმიც. მაგრამ კრიტიკა არასოდეს გასცილებია ცალკეულ მოღვაწეებსა და პოლიტიკურ ძალებს. კრიტიკის საგანი არასოდეს გამხდარა თვით უკომპრომისო ბრძოლის პროცესი, რომელიც დღემდე თითქმის ერთსულოვნად ფასდება დადებითად. მიიჩნევა, რომ მან გამოაღვიძა ქართველი ერი, დარაზმა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებებიც მოაპოვებინა. ასეთია, ვიმეორებ, 1988 წლის თებერვლიდან დაწყებული პროცესების დღეისათვის გაბატონებული შეფასება.

პირადად მე აქედანვე გულახდილად ვიტყვი, რომ კატეგორიულად არ ვიზიარებ ამგვარ შეფასებას. ჩემი რწმენით, 1988 წლიდან ჩვენში დაიწყო აბსოლუტურად დესტრუქციული ხასიათის პოლიტიკური პროცესები, რომელთაც ქართველ ერს მოუტანეს მხოლოდ ნგრევა, განხეთქილება, სისხლისღვრა. სასიკეთო კი ამ პროცესებს არაფერი მოუტანიათ.

... ცხადია, კარგად მესმის, რომ ამგვარ შეფასებას მრავალი ადამიანი არ გაიზიარებს. ამიტომ წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ სრულიად არ მივიჩნევ ჩემს თავს ჭეშმარიტების უზენაეს ინსტანციად. ღმერთმა ჰქნას, მცდარი იყოს ჩემეული შეფასება! მე მადლიერებით მივიღებ და გულისყურით გავეცნობი ოპონენტთა არგუმენტებს. ამჯერად კი მომავალ ოპონენტებს ვთხოვ, მშვიდად და წინასწარგანწყობის გარეშე დააკვირდნენ ჩემს არგუმენტებს.

მაშ ასე, უკომპრომისო ბრძოლას საქართველოსათვის არაფერი მოუტანია, გარდა უბედურებისა.

ცხადია, დესტრუქციული ვითარებანი ყველა რევოლუციას ახლავს. შეუძლებელია გახსენება ისეთი რევოლუციისა, რომელსაც არ შეეწიროს მრავალი ადამიანის სიცოცხლე, არ გამოეწვიოს ნგრევა, გარკვეული დროით ცხოვრების დინების შეგუბება ან უკუსვლაც კი. მაგრამ დიდ რევოლუციებს პოზიტიური შედეგებიც აქვთ, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ერის ან ზოგ შემთხვევაში მთელი კაცობრიობის წინსვლას. ჩვენს ოთხწლიან ბრძოლას კი, ჩემი ღრმა რწმენით, პოზიტიური მონაპოვრები არ გააჩნია. მისი შედეგები წმინდა ნეგატიურია.

ოპონენტებს ალბათ აღაშფოთებთ უკანასკნელი აზრი. აკი უთვალავჯერ წარმოუდგენიათ ჩვენი ეროვნული მოძრაობის მესვეურებსა თუ რიგით მებრძოლებს უკომპრომისო ბრძოლის ეტაპზე მოპოვებულ გამარჯვებათა მთელი ნუსხა, რომელიც ალბათ ყველა ქართველმა ზეპირად იცის: კომუნისტური რეჟიმის დამხობა, ეროვნული სუვერენიტეტის დეკლარირება, ეროვნული ინტერესებისაკენ სახელმწიფოს შემობრუნება და ა.შ.

ეს, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი მონაპოვრებია. მაგრამ ისინი, ჩემის აზრით, მიღწეულია არა ჩვენი პოლიტიკური პარტიების ძალისხმევით, არამედ წარმოადგენს საერთო იმპერიული პროცესის შედეგს. ამის დასტურია ის, რომ კომუნისტური რეჟიმი მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაემხო (იქაც კი, სადაც ამ რეჟიმის დამხობა არ ეწადათ და ყოველნაირად იბრძოდნენ მისი შენარჩუნებისათვის. მაგალითად, „სამხრეთ ოსეთში“, აფხაზეთში); ყველა ყოფილ „საბჭოთა“ ერს აქვს დამოუკიდებლობის დეკლარირებისა და ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვის საშუალებაც. ახე რომ, ყოველივე ის კარგი, რაც უკანასკნელმა წლებმა მოგვიტანა ქართველებს, ყოველგვარი უკომპრომისო ბრძოლის გარეშეც მოგვეცემოდა. მეტი და უარესიც შეიძლება ითქვას. 1988 წლიდან ჩვენში დაწყებულმა პროცესებმა მხოლოდ მუხრუჭის როლი შეასრულეს: თურქმენეთი, სადაც მთელი პერესტროიკის მანძილზე არც ერთი არაფორმალური ორგანიზაცია არ არსებულა, სადაც არ წარმოებულა არავითარი ეროვნული მოძრაობა, ჩვენზე ადრე გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, გაეროს წევრი.

ზოგჯერ იმასაც კი გაიგონებ, საქართველოში გაშლილმა მოძრაობამ მისცა ბიძგი უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარ უდიდეს გარდაქმნებს მთელს საბჭოთა კავშირსა და მის საზღვრებს გარეთაც კი. ქვემოთ შევეცდები დავასაბუთო, რომ საქმე უფრო პირიქითაა. უკომპრომისო ბრძოლასთან დაკავშირებული პროცესები არა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციისათვის იქცა მუხრუჭად, არამედ გარკვეული თვალსაზრისით საერთო პროცესისთვისაც.

მოკლედ, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენს ხანგრძლივ უკომპრომისო ბრძოლას არავითარი სიკეთე არ მოუტანია, არც ჩვენი ერისათვის, არც საერთო საქმისათვის. უბედურება კი უთვალავი დაგვატეხა. 1988-1991 წლები იყო არა ეროვნული აღმავლობის ნათელი ხანა, არამედ ერთი ყველაზე შავბნელი ჟამი საქართველოს ისტორიაში. გარკვეულ წრეთა მიერ ყოველმხრივ ნაქებ-ნადიდებმა ოთხწლიანმა ბრძოლამ ჩვენი ერის ცხოვრების ყველა სფეროს შეახო მახვრალი ხელი. ყოველმხრივ ჩამოგვარჩინა და დაგვცა. ზარალი იმდენად დიდი და აუწერელია, რომ მისი მასშტაბების სრულად ჩვენება საგაზეთო სტატიაში შეუძლებლად მესახება. მაგრამ ისიც, რის თქმასაც ამჯერად შევძლებ, დაადასტურებს, რომ აღნიშნული ოთხი წლის მანძილზე საქართველო — თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ — აოხრდა. დიახ, აოხრდა! ნამონღოლარს თუ ნათემურლენგარს დაემსგავსა. არსებითად ყველაფერი მოიშალა, გადაგვარდა, განადგურდა. მაგრამ ყველაზე საშინელ მდგომარეობაში მაინც ერის ინტელექტუალური პოტენციალი აღმოჩნდა. ამიტომ სწორედ ამაზე მსურს მკითხველთა ყურადღების აქცენტირება.

თვით საბჭოთა ეპოქაში, ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარშიც კი, არ ყოფილა წელიწადი, როცა საქართველოში არ შექმნილიყოს ხელოვნების ან მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები. უკანასკნელი ოთხი წელი კი ამ თვალსაზრისით ბერწი გამოდგა. ამასთან, წარმოუდგენელ სიდამბლემდე დაეცა პროფესიონალიზმი. მოიშალა, განადგურდა შრომითი პროცესი. ყველაზე დიდი საშინელება კი მაინც სასწავლო პროცესის მოშლა და განადგურებაა. ეს ვითარება თუ ერთხანს კიდევ შენარჩუნდა, ერის წინაშე რეალურად დადგება გაველურების საფრთხე...

* * *

ვიდრე ოთხწლიანი ბრძოლის ქრონოლოგიურ ანალიზს შევუდგებოდე, ბოდიში უნდა მოვუხადო მკითხველს, იმის გამო, რომ რამდენჯერმე მომიხდება ხსენება ჩემი ორი ძველი პუბლიკაციისა — „საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს, ანუ ყოფილ არაფორმალებს?“ (გაზ. „საქართველო“, 1 მაისი, 1991 წ.) და „როგორ იბრძოლა ქართველმა ინტელიგენციამ“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 თებერვალი და 3 მარტი, 1992 წ.); წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს გაგრძელებას და ერთგვარ შევსებას აღნიშნული სტატიებისა (შევსებას იმ თვალსაზრისით, რომ ამჯერად შევეცდები ყოველივე იმის თქმას, რაც ადრე შინაგანმა ცენზორმა არ მათქმევინა), ეს სამი სტატია არსებითად ერთი ნაშრომის სამ თავს წარმოადგენს და, ბუნებრივია, მესამე თავში დაგვჭირდება წინა ორი თავის ზოგიერთი დებულების გახსენება.

„საით მიჰყავთ საქართველო ულტრარადიკალებს?..“ მიეძღვნა იმ ძალების მოღვაწეობის შეფასებას, რომელნიც ოთხმოციანი წლების მიწურულს გაბატონდნენ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე და რომლებსაც „არაფორმალებს“ ვუწოდებდით. მსოფლმხედველობრივადაც, რეალური საქმიანობითაც ეს ძალები რადიკალები, უფრო ზუსტად, ულტრარადიკალები არიან და წარმოადგენენ ერთი პოლიტიკური ტენდენციის ბანაკებს, უფრო მეტიც, ერთი პარტიის ფრაქციებს.

სტატიაში „როგორ იბრძოლა ქართველმა ინტელიგენციამ“ ვიმსჯელე იმაზე, თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა ათწლეულების მანძილზე ჩვენი ერის ფიზიკურად გადარჩენაში, მის მიერ ეროვნული მეობის შენარჩუნებაში ქართველ ინტელიგენციას, რომელმაც ზომიერი, ცენტრისტული პოზიციებიდან იბრძოლა.

წინამდებარე სტატიაში კი ძირითადი ყურადღება დაეთმობა ხსენებული ორი პოლიტიკური ძალის — ზომიერთა და ულტრარადიკალთა — ურთიერთმიმართების პრობლემას. ეს არის უაღრესად არსებითი პრობლემა, რადგან ზომიერთა და ულტრათა პოლიტიკური ბრძოლის მახინჯი ფორმით წარმართვამ განაპირობა, ჩემის ღრმა რწმენით, ყველა ის უბედურება, რაც 1988 წლის შემდეგ დაატყდა საქართველოს.

ვიდრე განვმარტავდე, თუ რას ვგულისხმობ პოლიტიკური ბრძოლის მახინჯად წარმართვაში, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სრულიადაც არ ვაპირებ ზომიერთა და ულტრათაგან რომელიმეს კანონიერად ან უკანონოდ გამოცხადებას, რომელიმესთვის მიმხრობას ან დაპირისპირებას. ცივილიზირებული ქვეყნების წარსულსა და თანამედროვეობაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ორივე პოლიტიკური ტენდენციის არსებობა არის სრულიად გარდუვალიც და სასიცოცხლოდ აუცილებელიც.

გარდუვალია იმდენად, რამდენადაც თვით ადამიანები თავიანთი ხასიათის, ტემპერამენტის, აღზრდა-განათლების, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ჯგუფდებიან ძირითადად ორ კატეგორიად. ერთნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არიან მომხრენი მკვეთრი, რადიკალური, რევოლუციური ცვლილებებისა, მეორენი კი ხელმძღვანელობენ პრინციპით „ასჯერ გაზომე — ერთხელ გაჭერი“, ემხრობიან მოზომილ, ყოველმხრივ აწონდაწონილ პოლიტიკას. ადამიანთა ეს ორი კატეგორია ყოველ დროსა და ქვეყანაში იყო და იქნება. ამით არის განპირობებული, რომ ყველგან, სადაც იქმნება პირობები ნორმალური პოლიტიკური ცხოვრებისათვის, უსათუოდ ყალიბდება ორი პოლიტიკური ტენდენცია — ზომიერი და რადიკალური. ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი მთავარი პარტიიდან ერთი ზომიერ-კონსერვატიულია (რესპუბლიკელთა პარტია), მეორე შედარებით რადიკალური (დემოკრატთა პარტია). იგივე მდგომარეობაა დიდ ბრიტანეთში (კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიები). იმ მოწინავე ქვეყნებში, სადაც არ არის ორის აშკარად გაბატონებული პარტია, რაოდენ ფართოც არ უნდა იყოს სპექტრი პოლიტიკური ძალებისა, ეს უკანასკნელნი მაინც ჯგუფდებიან ზომიერი ან რადიკალური ტენდენციებისადმი კუთვნილების საფუძველზე. რაც შეეხება იაპონიას, იქ პირველ შეხედვით ერთპარტიული სისტემაა, მაგრამ გაბატონებული ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია არსებითად წარმოადგენს ზომიერი და რადიკალური ფრაქციების ბლოკს, რომელთა ბრძოლაშიც ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე.

დაპირისპირებულ ტენდენციათა არსებობა, სასიცოცხლოდ აუცილებელიც არის, რამეთუ ჰქმნის საწინდარს ქვეყნის აღმავლობისა, ოღონდ, ცხადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირება, პოლიტიკური ბრძოლა არ გასცდა ცივილიზებულ საზღვრებს, თუ ბრძოლაში გამოყენებულ იქნა მხოლოდ არგუმენტები და არა უხეში ძალა ან დემაგოგია. არგუმენტებით ბრძოლა, ანუ პაექრობა ჰქმნის ნიადაგს ჭეშმარიტების დაბადებისა, ხოლო ჭეშმარიტება ედება საძირკვლად ქვეყნის ყოველმხრივ აღმავლობას. როცა პოლიტიკური ბრძოლა არგუმენტების საფუძველზე სწარმოებს, ხდება ორივე ტენდენციის, ყველა პოლიტიკური ძალის, არსებითად მთელი ერის სულიერი ძალების სრულად მობილიზება და ამდენად ეროვნული პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზება. პატიოსან კამათში იქმნება პირობები იმისათვის, რასაც ილია „ნიჭის ლესვას“ ეძახდა. მხარეები იძულებულნი არიან შესთავაზონ ხალხს ქვეყნის მოწყობის რაც შეიძლება უეთესი კონცეფციები, პროგრამები, პროექტები... ოპონენტები თვით ფაქტით თავიანთი არსებობისა ულესავენ ერთურთს ნიჭს და თავადაც ილესავენ. პატიოსანი პაექრობა ავარჯიშებს ერის ინტელექტს, სულს, გენოფონდს, როგორც სპორტში მეცადინობა ავარჯიშებს ადამიანის სხეულს. ერთი სიტყვით, დაპირისპირებულ ტენდენციათა შორის პაექრობა შობს თეორიულ წანამძღვრებს ერის აღმავლობისა. პაექრობა ჰქმნის პირობებს ცალკეულ პირთა შესაძლებლობების გამოვლენისთვისაც — თავისუფალ დისკუსიაში ჩნდება ინდივიდუუმთა შესაძლებლობები და ამრიგად წინაურდებიან უნარიანი კადრები.

მოკლედ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: საქართველოს უბედურება ის კი არაა, რომ პერესტროიკის შემოღების შემდეგ ჩვენში შეიქმნა მრავალი პარტია, პოლიტიკური დაჯგუფებები, რომელთაც შეადგინეს ზომიერი და რადიკალური ბანაკები, არამედ ის, რომ ბრძოლა ამ ბანაკებს შორის წარიმართა უკიდურესად არაცივილიზებური, მე ვიტყოდი, ველური ფორმით.

აქ საჭიროა ძალიან მოკლე ექსკურსი — გახსენება იმისა, თუ როგორი გზა განვლეს ზომიერმა და რადიკალურმა ძალებმა საქართველოს გასაბჭოებიდან ვიდრე 1988 წლის დამდეგამდე.

საბჭოთა ათწლეულებში, ცხადია, არ არსებობდა ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების არავითარი საშუალება. ბოლშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს ოპოზიციის გასანადგურებლად და მნიშვნელოვანწილად მიაღწიეს კიდეც მიზანს. პირწმინდად იქნა ლიკვიდირებული ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა. ეს გასაგებიცაა. ბოლშევიკებთან აშკარად და მკვეთრად დაპირისპირება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ბრძოლის მთელი სიმძიმე ზომიერ ძალებს დააწვა (თუმცა ისინიც, გასაგებია, უაღრესად შენიღბულად მოქმედებდნენ). იმაზე, თუ რა საოცრად გმირულად ესმახურნენ სამშობლოს აღნიშნული ძალები, ვიმსჯელე სტატიაში „როგორ იბრძოლა ქართველმა ინტელიგენციამ“. ამჯერად უმოკლესად გავიმეორებ: ჩვენი ინტელიგენცია, რომლის დიდი უმრავლესობა ცენტრისტული პოზიციებიდან ბრძოლას ამჯობინებდა და ამჯობინებს (ამიტომ „ინტელიგენტი“ ქართულ ენაში იქცა „ცენტრისტის“, „ზომიერის“ სინონიმად), ყოველთვის ავანგარდში ედგა ბოლშევიკური იმპერიალიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამას საქართველოს საზღვრებს გარეთაც აღიარებენ. სტალინის ეპოქაში ქართველმა ინტელიგენციამ, ნებისმიერი სხვა ეროვნების კოლეგებზე უკეთ შესძლო ტრადიციულ ფასეულობათა დაცვა, ერში პატრიოტული სულისკვეთების შენარჩუნება. სტალინის სიკვდილის შემდეგ პირველად ქართველმა მწერალმა გააკრიტიკა საბჭოური სისტემა (თუმცა ძალიან შენიღბული ფორმით). სამოციან-სამოცდაათიან წლებში შეიქმნა იმდენი პატრიოტული და ანტისაბჭოური ნაწარმოები, რამდენიც არც ერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში არ შექმნილა. თანაც, რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, მოხერხდა მთელი ამ ზღვა მასალის გამოქვეყნება. ამიტომ არის საქართველო პრაქტიკულად ერთადერთი რესპუბლიკა, რომელსაც პერესტროიკის დაწყების შემდეგ არ აღმოაჩნდა „უჯრის“, ანუ საბჭოთა პირობებში გამოუქვეყნებადი ნაწარმოებები.

რაც შეეხება რადიკალურ ძალებს, ისინი პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როცა დაიწყო იმპერიის საბოლოო კრიზისი, აგონია, როცა ჰელსინკის ხელშეკრულებამ ძალიან გაურთულა საბჭოთა ხელისუფლებას სხვაგვარად მოაზროვნეების რეპრესირება.

ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების დაწყების საშუალება მოგვეცა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში. უფრო ზუსტადაც შეიძლება ითქვას — 1986 წლის მიწურულიდან, როცა რეალურად ამოქმედდა პერესტროიკა.

ერებმა, რომელთაც ამ მომენტისთვის გააჩნდათ პატრიოტული სიფხიზლისა და ინტელექტუალური მზადყოფნის სათანადო დონე, უკვე 1987 წლისთვის შეჰქმნეს სისხლსავსე პოლიტიკური ცხოვრების პირობები. ამ ერების პოლიტიკურ სარბიელზე გამოიკვეთა ორივე ძირითადი ტენდენცია, გამოიკვეთა პოლიტიკურ ძალთა მთელი სპექტრი ულტრამემარცხენულიდან ულტრამემარჯვენულამდე. და, თუმცა პოლიტიკაში ექსცესების სრულად გამორიცხვა ძნელად წარმოსადგენია, ურთიერთმიმართება ამ ძალთა შორის ძირითადად ცივილიზებულად წარიმართა.

საქართველო იმხანად (1986, 1987 წწ.) დიდად ჩამორჩებოდა პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით მოწინავე რესპუბლიკებს (რუსეთს, უკრაინას, ბალტისპირეთს). უკვე ამაში — მკვეთრი, ენერგიული ძვრების დაგვიანებაში გამოჩნდა ქართველი რადიკალების სისუსტე. 1988 წლამდე პოლიტიკური მოთხოვნები ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი. მართალია, არაფორმალთა აქტივობა უკვე შეიმჩნეოდა, მაგრამ მათი მოთხოვნები არ გასცდენია ეკოლოგიისა და კულტურის სფეროებს (ტრან-

სკავკასიური რკინიგზის საწინააღმდეგო კამპანია, ბრძოლა დავითგარეჯის არქიტექტურული კომპლექსის გადასარჩენად, ნინიძისა და სხვა წყალსაცავთა მშენებლობის შეჩერების მოთხოვნა...). პოლიტიკური ლოზუნგები პირველად, როგორც ვთქვით, 1988 წლის თებერვალში აიზიდა ფარზე, როცა ამისთვის სერიოზულად აღარავის სდევნიდნენ და როცა, მაგალითად, ბალტისპირეთში სახალხო ფრონტებიც კარგა ხნის შექმნილი იყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლაც გაჩაღებული.

უკომპრომისო დაპირისპირებამ ისტორიულად განწირული ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოში წელიწადზე მეტ ხანს გასტანა და ფაქტობრივად მაშინ დასრულდა გამარჯვებით, როცა 9 აპრილის შემდეგ გადადგა უკანასკნელი ტიპური კომუნისტი დიქტატორი ჯუმბერ პატიაშვილი. გივი გუმბარიძის რეჟიმს უფრო ნომინალური ხასიათი ჰქონდა. იგი უკვე ველარ (თუ ალარ?) აკონტროლებდა პრესას, ველარ (თუ ალარ?) ერეოდა ცხოვრების ყველა სფეროში, ველარ (თუ ალარ?) მოითხოვდა ყველა ადამიანისაგან აბსოლუტურ მორჩილებას... ერთი სიტყვით, 1989 წლის გაზაფხულიდან ბოლშევიკური ტოტალიტარიზმი საქართველოში აღიკვეთა. ამიტომ ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობთ დღესაც 1988-1989 წლებზე ესოდენ ერთსულოვანი აღფრთოვანებით.

პირადად მე იმ წლების პროცესებში ალსაფრთოვანებელს ვერას ვხედავ. ბოლშევიზმის დამხობა საერთო იმპერიული პროცესი იყო და ეს პროცესი არც საქართველოს ასცდებოდა. (თუმცა შეიძლება, რამდენიმე თვით დაეგვიანა). ასე რომ, ამაში ჩვენი ეროვნული მოძრაობის დიდ დამსახურებას მე, ვიმეორებ, ვერ ვხედავ. ის კი უდაოდ უკომპრომისო ბრძოლის ორგანიზატორთა ბრალია, რომ საქართველოში ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის ნანგრევებზე დაიწყო დამკვიდრება არა დემოკრატიამ,არამედ ნეოტოტალიტარულმა რეჟიმმა.

დიახ, ნეოტოტალიტარიზმი, მოდერნიზებული დიქტატურა საქართველოში დაიბადა არა 1990 წლის შემოდგომაზე, არამედ 1989 წლის გაზაფხულ-ზაფხულში.

ბოლშევიკთა მიერ პოლიტიკური მონოპოლიის დაკარგვის შემდეგ მონოპოლისტი გახდა სხვა პოლიტიკური ძალა. ბოლშევიკური დიქტატი ამ ძალის დიქტატმა შესცვალა. ეს ძალა კი გახლავთ ულტრარადიკალები.

უკვე 1989 წლის გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნაზე გამოჩნდა, რომ ჩვენი ულტრები არიან წმინდა წყლის ნეოტოტალიტარისტები. მართალია, მათ იმხანად არ გააჩნდათ პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ იმპერიაში მიმდინარე პროცესების მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ (ქართველ ულტრათა) დამსახურებად გამოცხადებით უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვეს, გახდნენ, ასე ვთქვათ, მორალური ხელისუფალნი, ამასთან, თავიანთი თავი გამოაცხადეს პატრიოტიზმისა და სამშობლოზე ზრუნვის სრულ მონოპოლისტებად. შექმნეს ისეთი ატმოსფერო, რომ ულტრებთან შეკამათება სამშობლოს ღალატის ტოლფასი გახდა.

იმხანად არა მხოლოდ ზვიად გამსახურდია, არამედ ულტრათა სხვა ლიდერებიც — ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირინე სარიშვილი... — ამჟღავნებდნენ უკიდურეს მოუთმენლობას საპირისპირო აზრისადმი. პრესასა და რადიო-ტელევიზიაში ბოლშევიკური ცენზურა ულტრარადიკალურმა ცენზურამ შესცვალა. 9 აპრილის შემდგომ პერიოდიკაში ერთ პუბლიკაციასაც ვერ ნახავთ, რომელშიც თუნდაც ოდნავ იყოს გაკრიტიკებული ესა თუ ის ულტრარადიკალური პარტია ან თუგინდ ამ პარტიათა რომელიმე ფუნქციონერი. ცხადია, უკვე მაშინ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხედავდნენ, რას უქადდა საქართველოს ულტრარადიკალური დიქტატი, მაგრამ პრესაში ამის თქმის ვერავინ ახერხებდა, მათ შორის ვერც ამ სტრიქონების ავტორი. (ვითარება რამდენადმე გამოსწორდა 1990 წლის გაზაფხულიდან, როცა მონოპოლისტ პოლიტიკურ ძალაში განხეთქილება მოხდა. ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა ორიდან ერთი ბანაკის ფრთას შეფარებულს მეორე ბანაკი გაეკრიტიკებინა, მაგრამ ორივე ბანაკის, საზოგადოდ ულტრათა მოძრაობის კრიტიკა, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ჩემს ზემოხსენებულ წერილში მოცემული).

რით მიაღწიეს ულტრებმა, რომ პრესა, მთელი საზოგადოებრიობა 9 აპრილის შემდეგ ისევე „ერთსულოვნად იწონებდა" მათს პოლიტიკას, როგორც 9 აპრილამდე ბოლშევიკებისას? იმავე მეთოდით, რითაც ბოლშევიკებმა — პირველ ყოვლისა დაშინებით. გავიხსენოთ ზ.გამსახურდიას დაძიბაოები, რომლებშიც უხვად ურიგებდათ ზომიერად განწყობილ მოღვაწეთ სამშობლოს მოღალატის იარლიყებს (1988-1989 წლებში ულტრები ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთმანეთს დარეულნი, ჯერ საერთო „მტერს", ზომიერ პოზიციაზე მდგომ ინტელიგენციას იშორებდნენ გზიდან). თუ რაოდენ არაადამიანურად, ფაშისტურ-კომუნისტურად უსწორებდათ ანგარიშს მომავალი დიქტატორი ოპონენტებს ამ ფაქტიდანაც ჩანს: ერთ-ერთ დაძიბაოში საშინლად იყო გალანძღული სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული ზურაბ ჭავჭავაძე — ზომიერი, გაწონასწორებული პოლიტიკის თანამიმდევრული მომხრე. გავიხსენოთ ი.წერეთლის მრავალრიცხოვანი გამოსვლებიც მიტინგებზე, რომელთაც რეფრენად გასდევდა „ჭირიანი", „უდღეური" ინტელიგენტების „გაპანღურების" მოთხოვნა (მე ყველაზე უფრო ცენზურული გამოთქმები შევარჩიე ი.წერეთლის ლექსიკონიდან). ი.წერეთლის გამოსვლებისგან შინაარსობრივად და ტონის თვალსაზრისით დიდად არც გ.ჭანტურიას გამოსვლები განსხვავდებოდა. მაგრამ ყველას, ჩემის აზრით, ი.სარიშვილი აჭარბებდა. ამაში ალბათ ყველა დამეთანხმება, ვისაც ახსოვს მისი თავდასხმები ოპონენტებზე.

ულტრარადიკალები მშვენივრად ჩასწვდნენ ფსიქოლოგიას ხალხისა, რომელმაც შვიდათეულწლოვანი უსასტიკესი ტოტალიტარული რეჟიმი გამოვლო. ხალხში, ბუნებრივია, ჩაბუდებული იყო კოშმარული შიში გაბატონებული პოლიტიკური ძალებისა. ეს შიში კომუნისტებმა შექმნეს. შემდეგ კომუნისტებს შინაგანი პოტენციალი ამოეწურათ. მათ დაკარგეს ძალაუფლება და თანდათან დატოვეს პოლიტიკური ასპარეზი. ხალხს მათი უკვე აღარ ეშინოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოისპო თვით გაბატონებული პოლიტიკური ძალების შიში.

აღნიშნული გარემოება კარგად გააცნობიერეს ულტრებმა და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა მას შემდეგ, რაც კომუნისტები აღარავის ჰგვრიდნენ ძრწოლვას, არ ჩამქვდარიყო თვით ძრწოლვა ძლიერთა (პოლიტიკურად ძლიერთა!) ამა ქვეყნისათა წინაშე. აი, ამ გარემოებამ მისცა საშუალება ულტრებს მოეპოვებინათ უზარმაზარი გავლენა — არსებითად ბოლშევიკთაგან დატოვებული პოზიციები ეგდოთ ხელთ.

ულტრები ყველა საშუალებით იბრძოდნენ ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრების წინააღმდეგ. ვინც არ გაიზიარებს უკანასკნელ აზრს, ვთხოვ, დამისახელოს თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ ულტრათა ლიდერებმა რაიმე გააკეთეს სიტყვისა და სინდისის თავისუფლებისათვის, ყველა ყაიდის პოლიტიკური ძალის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის (ტოტალიტარიზმგამოვლილ ქვეყანაში ხომ პირველყოვლისა შიშის, მონური სულისკვეთების გადალახვაზე, სულისშემხუთველი ატმოსფეროს გაფანტვაზე ზრუნვა ევალებათ ჭეშმარიტ ლიდერებს ხალხისა!). დარწმუნებული ვარ, ვერავინ შემახსენებს ამგვარ მაგალითს. მე კი უსასრულოდ შემიძლია საპირისპირო ფაქტების მოტანა.

ჩვენი დიდი წინაპრები — თვით დავით აღმაშენებელი და სხვა სახელოვანი მეფეები, რომ აღარაფერი ვთქვათ ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე... — ყველაფერს აკეთებდნენ დემოკრატიის დასამკვიდრებლად. „მამების" თაობამაც კი, ერთსულოვნად შერაცხულმა რეტროგრადებად და ლამის რეაქციონერებად, სრულიად უცნობი ნასტუდენტარის სტატიები გამოაქვეყნა თავის ჟურნალში, თანაც სრულიად უცვლელი სახით, თუმცა ეს სტატიები ქვას ქვაზე არ ტოვებდა „მამათა" მსოფლმხედველობიდან. „ბნელ" „მამებს" ესმოდათ ალტერნატიული აზრის საჭიროება! ულტრებმა კი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოიწყეს მათთვის არასასურველი აზრის წინააღმდეგ. ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის შემდეგ, როცა სხვა „საბჭოთა" ხალხებმა (თითოოროლა ყველაზე ჩამორჩენილი ხალხის გამოკლებით) დაამკვიდრეს ჭეშმარიტი დემოკრატია, ჩვენში ულტრათა პოლიტიკის წყალობით, შენარჩუნდა უმკაცრესი ცენზურა, ერთი აზრის დიქტატი, ოპონენტთა დევნა-დაშინება. საპირისპირო აზრი კი კვლავ ჩურჩულით გამოითქმოდა.

ის ფაქტი, რომ ულტრებს ბოლშევიკთაგან განსხვავებით არ წამოუწყიათ ფართომასშტაბიანი რეპრესიები, ორი გარემოებით აიხსნება. ჯერ ერთი, ულტრები გაუბატონდნენ ბოლშევიკების მიერ ათწლეულების მანძილზე საგულდაგულოდ „დამუშავებულ" ხალხს, რომლის დამორჩილება არც ისე ძნელი იყო. ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანს მაინც, ვიდრე ხალხი მიხვდებოდა, რომ საპყრობილე შეუცვალეს არა თავისუფლებით, არამედ ახალი საპყრობილით. მეორეც, — ულტრებს არ გააჩნდათ ფიზიკური ძალა რეპრესიების წარმოებისა (ვგულისხმობ სარეპრესიო მანქანის შექმნას). შემდეგ, როცა ულტრარადიკალთა ერთმა ბანაკმა ხელისუფლება ჩაიგდო, რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა, ტოტალური რეპრესიების მოსაწყობად, მაგრამ ძალა არ ეყო. იმ ბანაკის ლიდერები და მომხრეები დღესაც არ მალავენ სინანულს თავიანთი მცდელობის განუხორციელებლობის — „სამშობლოს მოღალატეთა" და „სუკის აგენტთა" ჩაუქოლავად გადარჩენის გამო.

დიახ, ამას მისტირიან „მრგვალები" მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის დაისზე შექმნილ საზოგადოებრივ სიტუაციაში ახალი ტოტალიტარიზმის დასამყარებლად სრულიადაც არ იყო საჭირო ფიზიკური რეპრესიები, ფიზიკური ტერორი. კმაროდა მორალური ტერორი და მორალური რეპრესიები, კმაროდა დემაგოგია. საქმე აქ შემდეგშია: ოთხმოციანი წლების მიწურულისთვის ჩვენი საზოგადოებრიობა, ერთის მხრივ, უაღრესად პატრიოტულად და რევოლუციურად იყო განწყობილი. ამგვარი სულისკვეთება ხალხში აღზარდა ინტელიგენციამ თავისი საოცრად გმირული და პერმანენტული ბრძოლით საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. ხალხს სძულდა კომუნისტური რეჟიმი და სწყუროდა ცხოვრების ყველა სფეროში კარდინალური გარდაქმნების მოხდენა. ამგვარ რეფორმებს კი ეროვნული სუვერენიტეტის განხორციელებას უკავშირებდა.

მეორეს მხრივ, ხალხი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად გულუბრყვილო. ან კი საიდან უნდა შეგვეძინა პოლიტიკური სიბრძნე ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, როცა ლიკვიდირებული იყო ის, რასაც ჰქვია პოლიტიკური ცხოვრება?

აი, ამ ხალხს — რევოლუციურ გარდაქმნათა მნატვრელსა და პოლიტიკურად უმეცარს — გაუბატონდნენ ულტრარადიკალები ტკბილ-ტკბილ და ომახიან დაპირებათა საშუალებით. ულტრათა უკიდურესად რადიკალური (თუმცა ძირითადად არარეალისტური) ლოზუნგები, ესალბუნებოდა ხალხის გულს, ზომიერთა პოზიცია კი კოლაბორაციონიზმად, სამშობლოს ღალატად აღიქმებოდა, თუმცა დღევანდელი დღის სიმაღლიდან უკვე კარგად ჩანს, რომ ავანტურული იყო რუსეთის ჯარის ამავწუთიერად გაყვანის მოთხოვნაც, რუსეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტაც და ა.შ. (აღარას ვამბობ ულტრათა აშკარად შოვინისტურ და ქსენოფობურ ლოზუნგებზე).

ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ ხალხს გონსმოგების საშუალებაც კი არ ჰქონდა; ოპოზიციური აზრის საჯაროდ გამოთქმა წარმოუდგენელი იყო, ხოლო თუ პირად საუბარში მოისმენდა კაცი ამგვარ აზრს, ულტრათა მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ფსიქოზისა და ისტერიის პირობებში, მის ნორმალურად გააზრებას ვერ ახერხებდა. ამიტომ ხალხმა დაუფიქრებლად, ხეირიანი აწონ-დაწონის გარეშე ირწმუნა ის, რასაც ულტრები უჩიჩინებდნენ. ისინი კი ცდილობდნენ ხალხისათვის თავს მოეხვიათ, რომ:

1) ყოველივე სასიკეთო, რაც საქართველოში ხდება ან ახლო წარსულში მომხდარა მთლიანად და მხოლოდ მათი (ქართველ ულტრარადიკალთა) დამსახურებაა. სხვა ძალთა, მათს შორის ქართველი ინტელიგენციის წვლილს საერთოდ ვერ ხედავდნენ და ყველას ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდნენ. ამ შეხედულებას ისეთი ჟინით ნერგავდნენ, რომ შესძლეს ხალხის დარწმუნება — ეროვნული მოძრაობა შესდგება მხოლოდ და მხოლოდ ზ.გამსახურდიას, გ.ჭანტურიას და ი.წერეთლის პარტიებისაგან;

2) საბჭოთა იმპერიას ყველაზე მძლავრი და მომაკვდინებელი დარტყმები მიაყენა საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ ანუ კვლავ და კვლავ ზ.გამსახურდიამ, გ.ჭანტურიამ, ი.წერეთელმა და მათმა თანამოაზრეებმა. ხოლო ისინი, ვინც გამხელილ ან ვერგამხელილ ოპოზიციაში უდგას აღნიშნულ ძალებს, იმპერიის უკვდავების საქმეს ემსახურებიან;

3) ეს დიადი საქმეები ქართველმა ულტრარადიკალებმა მოიმოქმედეს ენით აუწერელი რეპრესიების პირობებში, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების ფასად. სხვა ძალები კი, განსაკუთრებით ინტელიგენცია (თითოოროლა გამონაკლისის გარდა) კონფორმიზმისა და კოლაბორაციონიზმის გზით მოპოვებულ განცხრომაში ცხოვრობდა მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე.

აი, ამ შეხედულებათა დამკვიდრებამ ხალხის ძირითად ნაწილში მოუპოვათ ულტრარადიკალებს განუზომელი ავტორიტეტი და გავლენა. ისინი, როგორც ვთქვით, უკვე 1989 წლის გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნაზე გახდნენ მორალური, ანუ ფაქტობრივი ხელისუფალნი.

აქ მოტანილი შეხედულებები (ვგულისხმობ სამივე პუნქტს), ჩემის აზრით, წარმოადგენს კლასიკურ, ქრესტომათიურ მაგალითს პოლიტიკური დემაგოგიისა. სიმართლე აქ 180 გრადუსით არის შეტრიალებული, ყირაზე დგას. სინამდვილეში, თუ იმავე პუნქტებს გავყვებით, ვითარება ამგვარადაა:

1) ულტრათა ანუ ყოფილ არაფორმალთა დამსახურების შედარებაც კი არ შეიძლება ნაკლებად მოხმაურე (უფრო სწორად, უხმაურო), ზომიერ პოზიციაზე მდგომი ინტელიგენციის გრანდიოზულ ღვაწლთან, რომელმაც თავის თავზე აიღო სამშობლოს დაცვა-მოვლა ყველაზე საშინელ ათწლეულებში, როცა დღეს ნაწვიმარზე სოკოსავით მომრავლებული ულტრარადიკალური პარტიები საერთოდ არ არსებობდნენ. „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილ ზემოხსენებულ სტატიაში ვუჩვენე, რომ მრავალმა ქართველმა „საბჭოთა" ინტელიგენტმა მღვდელ თევდორეს ბადალი გმირობა ჩაიდინა და სწორედ ამან იხსნა საქართველო. ინტელიგენციის უთვალავი მლანძღველიდან, სხვათა შორის, ვერავინ გამოაქვეყნა საპირისპირო არგუმენტები;

2) უკვე ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: ქართველ ულტრათა მიერ განხორციელებულ პოლიტიკას არამცთუ ხელი არ შეუწყვია იმპერიაში მიმდინარე სასიკეთო პროცესებისათვის, არამედ, პირიქით. მაგრამ ამაზე მეორე წერილში;

3) ვერავინ უარყოფს, რომ ულტრათა მოძრაობის არაერთი ლიდერი 70-80-იან წლებში რეპრესირებული იყო. ამდენად არც მათი წვლილის უარყოფას აპირებს ვინმე. მაგრამ ფაქტია, რომ თუ ჩვენი ზომიერი ძალები, საერთო აღიარებით, საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში იდგნენ, ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენს დისიდენტებზე. ქართული დისიდენტური მოძრაობა სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობის დისიდენტურ მოძრაობებთან შედარებით აშკარად ნაკლები მასშტაბის და სიმძლავრის იყო. სამწუხაროდ, არც ერთი ერონების დისიდენტებს არ უთხოვიათ იმდენჯერ პატიება, შეწყალება, სხვადასხვა ხასიათის შეღავათები („გამოსწორების" პირობის დადებით), რამდენჯერაც ქართველებს. ცხადია, ეს არ შეეხება ყველას. ჩვენ გვყავდა ცოტნე დადიანის ბადალი გმირიც — მერაბ კოსტავა. მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც ფაქტია, რომ ბევრი ქართველი დისიდენტი გატყდა. სხვათა შორის, ყველაზე უფრო უტეხნი (ვაჟა ჟღენტი, ვახტანგ ძაბირაძე, ზურაბ გოგია...) დღეს ჩრდილში რჩებიან. სიცოცხლეში ჩრდილში იყო მერაბ კოსტავაც. ჩვენს ეროვნულ მოძრაობას და არა მხოლოდ ჩვენსას უდიდესი ზარალი მიაყენეს რეჟიმთან კომპრომისზე წასულმა ქართველმა დისიდენტებმა. მათი საქციელი გულს უტეხდა ხალხს, იწვევდა მასობრივ დეპრესიას, მორალურ გამარჯვებებს აპოვებინებდა რეჟიმს, ლახავდა მთელი ჩვენი ერის ავტორიტეტს... იმისათვის, რათა ვინმემ არ იფიქროს, რომ ცილს ვწამებ ჩვენს დისიდენტებს, მათი მემკვიდრეების — ულტრარადიკალებისათვის სახელის გასატეხად, დავიმოწმებ ულტრათა მოძრაობის მთავარი თეორეტიკოსის თემურ ფიფიას აზრს:

„ჩვენი დისიდენტური მოძრაობა რუსეთის დისიდენტურ მოძრაობასთან შედარებით საკმაოდ სუსტი იყო" („საქართველო", 7.III. 1992წ). ჩემის მხრივ დავძენ, რომ ჩვენი დისიდენტური მოძრაობა ბალტიისპირეთისა და უკრაინისასაც დიდად ჩამოუვარდებოდა.

როგორც ვხედავთ, ულტრათა არგუმენტები, რომელთა განუწყვეტელი პროპაგანდირებითაც მათ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელია. ესოდენ პრიმიტიულ, თეთრი ძაფით ნაკერ დემაგოგიაზე მხოლოდ პოლიტიკურად ძალიან გულუბრყვილო საზოგადოება თუ შეიძლება წამოეგოს. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხის ძირითადი ნაწილი ოთხმოციანი წლების მიწურულს პოლიტიკურად უმეცარი იყო...

დაიბნა ინტელიგენციაც. მან, კომუნისტურ ობსკურანტიზმთან ბრძოლას ნაჩვევმა, მკრეხელობად მიიჩნია დაპირისპირება იმ პოლიტიკურ ძალებთან, ვინც პატრიოტულ ტრანსპარანტებს აფრიალებდა. ინტელიგენციამ მიიღო ულტრათა მიერ დამკვიდრებული ფორმულა:

ეროვნული მოძრაობა უდრის ულტრარადიკალებს, ანუ გ.ჭანტურიას, ი.წერეთლისა და ზ.გამსახურდიას პარტიებს. ასე რომ, უკანაკნელებმა მიაღწიეს მიზანს — მათთან შეკამათება სამშობლოს ღალატს გაუთანაბრდა და არა მხოლოდ მომაკვდინებელ დანაშაულად, არამედ ცუდი ტონის ნიშნადაც კი იქცა. აი, ამ მასობრივ ფსიქოზს დაემყარა ულტრათა ავტორიტეტი, მათი ცენზურა და დიქტატი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ოთმოციანი წლების მიწურულს საქართველოში მოხდა იგივე პროცესები, რაც ოციან წლებში: სრული პოლიტიკური მონოპოლია მოიპოვა ერთმა პოლიტიკურმა ძალამ.

ოციან წლებზე დღეს ბევრს ვწერთ და ვმსჯელობთ. ამიტომ კარგად ვიცით, რომ თავი და თავი მიზეზი საბჭოური სინამდვილის ყველა საშინელებისა იყო ერთი პოლიტიკური ძალის მიერ აბსოლუტური ხელისუფლების მოპოვება.

თავისუფალი პაექრობა რომ არ აეკრძალათ, არ დაკნინდებოდა ასერიგად აზროვნება; რომ არ მოესპოთ ოპოზიცია, ველარ ჩაიდენდნენ კომუნისტები უთვალავ კოშმარულ დანაშაულს. ამის საშუალებას მათ უბრალოდ არ მისცემდნენ დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები.

ეს ყოველივე, ვიმეორებ, კარგად ვიცით, მაგრამ ნაკლებად ვუფიქრდებით იმას, რომ უკანაკნელი ოთხი წლის ყველა საშინელების მიზეზთა მიზეზიც ერთი პოლიტიკური ძალის დიქტატში ძევს. ამან მიიყვანა ჩვენი აზროვნება სრული უნაყოფობის მდგომარეობამდე (ბოლშევიკებს რაღაც კონცეპტუალური ბაზა მაინც ჰქონდათ; ხელისუფლების აღებამდე შვიდი ათწლეულის მანძილზე ყოველმხრივ დაამუშავეს თავიანთი უტოპიური დოქტრინა. ჩვენს ულტრებს კი არაფერი მოეპოვებათ, გარდა უპრიმიტიულესი და უტრაფარეტულესი ლოზუნგებისა). ულტრათა მონოპოლისტობამ გამოიწვია საშინელი სისხლისღვრა და ნგრევაც; დიქტატისაკენ მლტოლველ პოლიტიკურ ბანაკში, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველგან ხდება ხოლმე, დაიწყო განხეთქილება ძალაუფლებისათვის ბრძოლის ნიადაგზე. (განხეთქილების მიზეზი რომ ნამდვილად ძალაუფლებისათვის ბრძოლა იყო, მეორე წერილში ვუჩვენებ).

ამას დაერთო ის, რომ თანდათანობით გონს მოეგო ხალხი, როგორც იქნა მიხვდით, რომ კი არ გაგვათავისუფლეს, მხოლოდ საპყრობილე შეგვიცვალეს და რაკი მბრძანებლობის მანიაკალური ჟინით ატანილმა უზურპატორებმა არასდიდებით არ ისურვეს ძალაუფლების — ან თუნდაც მისი ნაწილის — დათმობა, მოხდა გარდუვალი — აგიზგიზდა შიდა ომის ხანძარი.

მოკლედ, 1988 წლის თებერვლიდან 1989 წლის აპრილამდე მომავალი თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს საძირკველი კი არ ჩაყრილა, როგორც დაუღალავად გვიმტკიცებდნენ გარკვეული ძალები, არამედ გაღვივდა და მყარად გადგა ჩვენს ნიადაგში ფესვები მომავალი ეროვნული ტრაგედიისა.

რაც შეეხება უკომპრომისო ბრძოლის მომდევნო პერიოდს, მას მეორე წერილში განვიხილავთ.

# ჩვენი გულქვაობა ჩვენივე ხალხის მიმართ

„სტუმარს არათუ პატივი ვეცით
აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს,
მაგრამ დედის რძე ბუნების წესით
შვილებს ეკუთვნით მხოლოდ და მხოლოდ“
შოთა ნიშნიანიძე

ელდარ ნადირაძე

საქართველოში სტუმრად მყოფ გერმანელ ქალს შემთხვევით ქუჩაში მანქანა დაეჯახა. სამწუხაროდ ინციდენტი ტრაგიკულად დამთავრდა. თბილისში ცნობილ რუს კინომოღვაწეს „დუბლიონკა“ გახადეს და მგონი კიდევაც სცემეს. სულ ახლახან დასავლეთ საქართველოში ერთი ებრაელის ოჯახს მიცვალებულის შეურაცხყოფას დაპირდნენ, თუ დათქმულ თანხას არ გადაიხდიდა. ცხადია, მსგავს კრიმინალურ შემთხვევათა რიგის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ ესეც საკმარისია იქნება იმის საილუსტრაციოდ, რისი თქმაცა მსურს: ზემოთდასახელებულ სამივე შემთხვევაში უკიდურესად გაილანძლა ქართველი ხალხი. და ეს დაზარალებულთ არ გაუკეთებიათ ისეთი ჟინითა და შურისძიების გრძნობით, როგორც ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა მოიმოქმედეს. თანაც ეს ხდება რაღაც სტერეოტიპული, პროვინციალური, ამაზრზენი ეპითეტების თანხლებით: „მათ შეარცხვინეს ქართველი ერი“, „ეს არ ეკადრება საქართველოს“, „გრცხვენოდეთ ქართველებო“ და მისთანანი. არადა აგერ სულ რაღაც ერთი თვის წინათ „CNN“-ის საინფორმაციო გამოშვებებში თითქმის ყოველდღიურად აჩვენებდნენ სიმპათიური აღნაგობის ამერიკელ კანიბალს, რომლის თავაწყვეტილობის გამო ალბათ არცერთ ნორმალურ ამერიკელს არ მოსვლია აზრად ელანძღა საკუთარი ხალხი. ასეთი ტენდენცია ჩვენში კარგა ხანია დამკვიდრდა და სამწუხარო ისაა, რომ თვით ჩვენივე თვისტომნი ამას აღიქვამენ როგორც მხოლოდ ჩვენი ერისათვის დამახასიათებელ თვისებას. ამ ვითარების საფუძველია ერთი ცნობილი თვითგვემური გამონათქვამი: „ქართველებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძე“ — და ამით თითქოს გზა აქვს გახსნილი ჩვენს გამორჩეულ სისასტიკეს. ჩემთვის პირადად სულაც არ იწვევდა გაოცებას საინფორმაციო ცენზურის მიამიტობა და ვერმიხვედრილობა, როცა ასეთი სახის მასალას ხალისით აძლევენ „მწვანე შუქს“. ეს ჩვეულება კომუნისტური [illegible] ჩამოყალიბებული, რომლის მეტასტაზები კიდევ დიდხანს შეუქმნიან საფრთხეს ჯანმრთელობისაკენ წასულ ჩვენს ეროვნულ სხეულს. სამწუხაროდ მე არ გახლავართ დიდი ხმის მქონე ავტორიტეტი, თორემ მთელი საქართველოს გასაგონად ვიყვირებდი: არ არსებობს მსოფლიოში სისაძაგლე, რომელშიაც ქართველს გამორჩეული როლი ეკუთვნოდეს, თვით ყველაზე კულტურულ ევროპულ სახელმწიფოთა ისტორია სავსეა უკიდურესი სისასტიკის მაგალითებით, რომლის საილუსტრაციოდ თუნდაც საფრანგეთის რევოლუცია გამოდგება, რობესპიერიდან დაწყებული ჟოზეფ ფუშეთი დამთავრებული. საკვირველია რას უმართლებიან ქართველ ხალხს, რატომ აკისრებენ მას ვიღაც გარეწართა ცოდვებს. იქნებ ზოგიერთ მიამიტს მიაჩნია, რომ რახან ჩვენ ქართველები ვართ, ყველაზე კარგები და გამორჩეულები უნდა ვიყოთ და ამიტომ არავითარი დანაშაულის უფლება არა გვაქვს? ეს კიდევ მეორე უკიდურესობა გახლავთ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ძალზე გაიოლებულია ხალხის შესახებ მსჯელობა და საკუთარი აზრების დემონსტრირება. გაუგებარია რატომ მიაჩნია ზოგიერთს, რომ უკვე იმდენი დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე, რომ ფამილარულად ლაპარაკის უფლება აქვს. ამასთან დაკავშირებით მაგონდება: საიუბილეო თარიღს მიღწეულმა ერთმა ორდინალურმა პოეტმა სამადლობელო სიტყვა ასე დაასრულა: „მადლობა ჩემს მშობელ ერს“. არადა სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ იგი შვა (გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც) თავისმა კეთილმა დედამ და არა ქართველმა ერმა. საკვირველია, რატომ მიაჩნია ზოგიერთს, თითქოს იმდენი ჰქონდეს გაკეთებული თავისი ქვეყნისათვის, რომ ქართველი ერი შენდობით მიიღებს მის ნათქვამს, თუნდაც ის მკვახედ იყოს წამოსროლილი. ასეთი სურვილი კი ბევრს გაუჩნდა ამ უკანასკნელ ხანს და ძირითადად ეხდება მათი პოლიტიკური ვნებათაღელვის დასაკმაყოფილებლად, ბევრი დაუკრეფავში გადავიდა და ისე გაერთო თავის საყვარელ საგანზე საუბრით, სულ დაავიწყდა, რომ ხალხი ეს პიროვნება არაა, რომელიც შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს მხოლოდ შენი შეხედულებებიდან გამომდინარე.

მოკლედ, ბევრი რომ არ ვთქვათ, ასეთმა ვითარებამ ხელი შეუწყო საკმაოდ ფუნდამენტალური აზრის მომწიფებას იმის შესახებ, რომ საქართველო პატარა იმპერიაა. ვფიქრობ ამ მიმართულების დამადასტურებელი არგუმენტების მოხმობა არ დასჭირდება დაკვირვებულსა და საქმეში ჩახედულ, გონიერ მკითხველს. ხოლო რახან ეს აზრი არაორდინალურ პიროვნებათაგან მომდინარეობს, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს ქართველ ნეოინტერნაციონალისტთა შორის და სამყაროს გამკეთილშობილებელთა მაღალი პოზიციიდან დაჰბერს საყვირებს იმ იმედით, რომ თუ ერიქიონს ვერ დაანგრევენ, საქართველოს ნაციონალისტური კედელი მაინც უნდა აქციონ ნაცარტუტად.

საკვირველი ძალა აქვს მახინჯი აზრის სიცოცხლისუნარიანობას. საყოველთაოდ ცნობილია ქართველ ბოლშევიკთა და მენშევიკთა სრული ნიჰილიზმი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში. მათ წარმომადგენელთაგან ერთი ისე შორს წავიდა, რომ საქართველოს მიწების გასაჩუქრების შემდეგ, სახელმწიფო საზღვარი კინაღამ თბილისში გადმოიტანა, ხოლო მეორე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გულშემოყრილი, მსოფლიო რევოლუციის შეფერხებას მისტიროდა. აი, სწორედ მაშინ იჩინა თავი ქართული ნაციონალიზმის ბაყბაყდევმა, რომელსაც ერთ მოჭრილ თავზე მყის სამი თავი ამოსდიოდა. მრავალრიცხოვან საქართველოს ბრალდებოდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებ იმსახურებდა, თანაც ისეთი „კლასიკური“ მაგალითების მოშველიებით, როგორიცაა ვინმე კარჩიკიანის ცნობებზე დაყრდნობილი სტალინის ცნობილი დებულება ქართველთა გენეტიკური ნაციონალიზმის შესახებ. ამას უკიჟინებდნენ ერს, რომელმაც უამრავი ეროვნება შეიფარა თავის ქვეყანაში, ამას ამბობდნენ იმ ხალხზე, რომლის ყველაზე ძლიერმა მეფემ თბილისის მაჰმადიანურ უბნებში ქართველებს ღორების ყოლა აუკრძალა. ამას ამბობდნენ იმ ქვეყანაზე, სადაც სამუდამო თავშესაფარი ჰპოვა ნახევარ მილიონზე მეტმა სომეხმა, რომელთა უმრავლესობა თავისი ქვეყნიდან მტრისაგან ლტოლვილი, ტიტველი გამორბოდა საქართველოსაკენ, რათა ამ უკანასკნელისაგან მიეღო რასაც ყველაზე მეტად ეძებდა: სიმშვიდე, პური, ტანსაცმელი და სამუშაო. და მაინც, როგორც კი ქართველი ხალხი თვითგამორკვევის შესახებ ალაპარაკდება, მაშინვე იჩენს თავს მითი ნაციონალიზმის შესახებ, ხოლო ჩვენში ყოველთვის მოიძებნებოდა და მოიძებნება ხალხი, რომელიც თავს იკლავს ამ მითის სინამდვილედ გასაღებისათვის. სხვისი რა მოგახსენოთ და პირადად მე ჭაბუკობისას სიკვდილივით გავურბოდი სხვა ეროვნების მქონე პირთან კონფლიქტს, განსაკუთრებით კი რუსთან, იმიტომ რომ ვიცოდი ეს საქმე, მართალიც რომ ვყოფილიყავი, ჩემს საწინააღმდეგოდ შეტრიალდებოდა. ადრეული წლებიდან მოკიდებული ოცდახუთი წლის განმავლობაში ერთხელ არ მქონია შემთხვევა, რომ სხვა ეროვნებაზე აღმატებულად მეგრძნო თავი და ასე იყო საზოგადოდაც. ასე იყო დაკანონებული ჩვენს შეგნებაში. ამას დაადასტურებს ყველა პატიოსანი ადამიანი. მაშ სადაა ჩვენი ნაციონალიზმი, სადაა ჩვენი შოვინიზმი, სხვა ერთა ძულება, შური, რბევა, გასახლება, რომელსაც ასე ფართოდ გაუღო კარი რუსეთის პრესამ და ტელევიზიამ, სადაც ჩვენი თეთრი შავადაა გამოცხადებული, სადაც ლამის კაციჭამიებად გამოგვიყვანონ და დაგვაბრალონ ის, რაც აზრადაც არ მოგვსვლია არასდროს.

მილიონჯერ ითქვა და დაიწერა ამჟამინდელი სამაჩაბლოს კონფლიქტის შესახებ. აბსოლუტურად გარკვეულია, რომ შიდა ქართლის ბარში ჩამოსახლებულმა ოსებმა რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში მიაღწიეს ისეთ ეროვნულ თვითგამორკვევას, რომელიც სანატრელად აქვთ ქცეული მათი ნამდვილი სამშობლოს მოქალაქეებს. ბუზიც არავის აუფრენია ოსებისათვის საქართველოში, განათუ ხმამაღალი სიტყვა უთქვამთ. ცხოვრობდნენ როგორც სურდათ, ქართველების ჩაგვრის დიდი ჟინით, ცხინვალსა და მის დაქვემდებარებულ სოფლებში. დიდი ბრძოლა უხდებოდა თითოეულ ქართველს, რაღაც თანამდებობისათვის რომ მიეღწია. გაამაყდნენ, გაბატონდნენ, ხელში ჩაიგდეს საუკეთესო მიწები, აიშენეს საუკეთესო სახლები და ქართლის უძველეს მთებს თავისი ოცნების ტრანსპარანტები მიაჭედეს: „Цвети Осетия моя“. მე პირადად ამას ყველაფერს ჩემი საკუთარი თვალებით ვუმზერდი დიდი ხნის განმავლობაში ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს მოვლილი მაქვს პატარა და დიდი ლიახვის ხეობის თითქმის ყველა სოფელი, უმწვავესი გრძნობა მიპყრობდა როცა ტერაშვილები, ასკილაშვილები, ჩიფჩიურები, ინაურები, ხადურები, მარიამიძეები, გნოლაძეები, ლაფაჩები, რთველაძეები, ჯირკვალიძეები, სიდამონიძეები, ოქროპირიძეები ვეღარ უძლებდნენ მოძალებულ ოსებს და გარბოდნენ უსაფრთხო ადგილებისაკენ თავქუდმოგლეჯილნი. ვინც რჩებოდა იმდენად იყო შევიწროებული, სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა გვარის გამოცვლისა. 1976 წლის 8 სექტემბერს სოფ. ელტურაში ას წელს მიტანებული მოხუცი ილო ქრისტეფორეს ძე ჯირკვალიძე, თვალებზე ცრემლმომდგარი სინანულით იხსენებდა თავის ძმას, რომელიც დისკრიმინაციული შემოტევისაგან რომ განთავისუფლებულიყო, აბაევად დაეწერა. ახლაო, მეუბნებოდა მოხუცი, მის შვილიშვილებს ქართულად რომ დავუწყებ ლაპარაკს, ოსურად მპასუხობენო. იქნებ ეს კარგი ცხოვრებით იყო განპირობებული? იქნებ ეხალისებოდათ ქართველებს გაოსება? ჩემი თვალით მინახავს ქართველთა მიტოვებული ნასახლარები: საცხენეთში, ელტურაში, აწრიხევში, ზონკარში, სათიხარში, ბელოთში... კიბეზე ამოსული შამბი, სახურავჩაქცეული სახლი, გაპარტახებული ეზო, ქვითა და ჭოლოქით დაჩეჩქილი მსხმოიარე ხეხილი და ახლაც ჩამესმის ყურში დაგდებული სამკვიდრებლის კარების ჭრიალი. ინგრეოდნენ ჩვენი ძველი ეკლესიები, კულბითისა, აწრიხევისა, ბელოთისა, სათიხარისა, ფოხალასი, უდანეთისა... ციხეები: აწრიხევისა, ბელოთისა, შამბიეთისა, რეხისა, უდანეთისა, სიათასი, გოზოსი, ჭრიასი, ინაურებისა და სხვა მრავალი. ჩვენი მიწები უხმლოდ, უბრძოლველად, კომუნისტური ბობოლების ხელშეწყობით გადადიოდა ოსების ხელში, უმაგალითოდ იდევნებოდა ქართველი ხალხი, არავითარი პრეტენზიები არ მიიღებოდა იქ, სადაც ჯერ არს. საქართველოში ინტერნაციონალიზმი მუდამ გაიგებოდა, როგორც ქართველების უკანა პლანზე ყოფნა. მერე რა რომ ჩვენ ქართველები ვიყავით, ისინი კი მოსულები იყვნენ, სხვა ეროვნებებს ეკუთვნოდნენ, ამიტომ უნდა გაგვეძრო საკუთარი და ჩაგვეცმია მათთვის? საბედნიეროდ ასეთი პოზიცია მანამდე ითვლებოდა გამართლებულად, სანამ თვითონ არ დაგვიწყეს გახდა. მაგრამ გვიან იყო თითზე კბენანი. განა არ გვაფრთხილებდა ჩვენი დიდი წინაპარი — მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც წინასწარმეტყველივით განჭვრიტა ჯაყოიზმის სოციალური ბუნება?! საინტერესოა დღევანდელი ქართველი ნეოინტერნაციონალისტები რატომ უვლიან გვერდს ქართული კლასიკური პროზის ჭეშმარიტი ოსტატის ამ რეალისტურ რომანს. განა ასეთი წიგნები იმიტომ იწერება, რომ მხოლოდ ერთი ვირეშმაკა კაცის ლაზღანდარობით გვართობდნენ?

განა დღეს ვინმესთვის გამოცანას წარმოადგენს, რომ ოსეთის ავტონომია წინასწარ ჩადებული ბომბია საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე? ამის მტკიცებას რა ლარი და ხაზი სჭირდება? განა ზუსტად ასევე არ აგვიჯანყდნენ პირველი დამოუკიდებლობისას, განა ისეთივე მეთოდებითა და ხერხებით არ სჩადიოდნენ დანაშაულს მაშინ, როგორც ახლა, განა ვისი ხელი ათამაშებს ამ მარიონეტებს, გამოცანას წარმოადგენს და გამორკვევა ესაჭიროება? მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში (და უფრო ადრეც) რა ჰქონდათ ისეთი ქართველებს, რაც არ გააჩნდათ ოსებს, იქნებ ვინმემ დაასახელოს წარსულის ერთი ფაქტი მაინც, საიდანაც მათი ჩაგვრა მტკიცდებოდეს? პირიქით კი უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება. მთელი საქართველო გაშლილი იყო მათ სამკვიდროდ, აირჩიეს და ცხოვრობენ შიდა ქართლში, ზემო ქართლში, ზემო იმერეთში, კახეთში, გორში, თბილისში, კასპში, თელავში, გურჯაანში, ბაკურიანში, ბორჯომში, ხაშურში, ხოლო ცხინვალი, თამარმეფისდროინდელი ქალაქი, დედაქალაქად გადაიქციეს და ისეთი გაქანებული ფრონტით შეუტიეს ქართველებს, რომ ახლა იქ ჩვენებურის ჭაჭანებაც არაა. როცა ასეთ თავნებობას ყურადღება მიექცა, და მოვითხოვეთ ქართველთა უფლებების დაცვა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სასტიკად იუკადრისეს, აგვიჯანყდნენ და დიდ ურდოში დაგვასმინეს. ეს იყო უძირითადესი მიზეზი სეპარატისტი ოსების მიერ წამოწყებული ამბოხებისა, მათ დაუფარავად განაცხადეს პრეტენზიები ქართულ მიწაზე და მისი ჩრდილოეთ ოსეთისათვის შეერთებაზე. ეკონომიურად ქართველებზე მოღონიერებულები აღარ დააკმაყოფილა ავტონომიის სტატუსმა, მათი იყო ყველაფერი და ეს „ავტონომია“ რაღა ასატანი იქნებოდა?! სად, რომელ ქვეყანაში მომხდარა საკუთარი მამულის ასე გულგრილად განიავება? ჩვენ თვითონ ვინ რას მოგვცემს, ვინ დაგვითმობს თუნდაც ერთ გოჯს მაინც (გავიხსენოთ გარეჯის უდაბნოს მაგალითი, რომლის ერთი ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, და [illegible] სანაცვლოში არ [illegible]). სახელი იყო ჩვენი [illegible], სახრავი ხომ იმათი იყო. ჰოდა, სრულიად სამართლიანად გავაპროტესტეთ მათი გადაწყვეტილება და თუ როგორ იუკადრისეს, რა ამბები მოგვიწყვეს და რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, ეს ხომ ყველასათვის ცნობილია. ამის შემდეგ განა სულმოკლეობა არაა იმ მიზეზებს ხედავდე და ერთი კაცის სიძულვილის გამო წაღმართ საქმეს უკუღმა ატრიალებდე? ვითომ ის კაცი რომ არ არსებულიყო, ფიანდაზი ექნებოდა გაფენილი ცხინვალის რაიონის ქართველობას?

საერთოდ თქმა იმისა, რომ საქართველოში სხვა ეროვნების წარმომადგენლებს რაიმე საფრთხე ემუქრებოდათ, სისულელეა. ამის საშიშროება არ დამდგარა არასდროს არავის მიმართ. ესაა თითიდან გამოწოვილი ულვთო ჭორი, ყველაზე უტიფარი ტყუილი, რომელიც შეიძლება ითქვას ქართველის მიმართ. ასეთი ტოლერანტული ბუნება ჩვენ ჩამოგვიყალიბა ჩვენმა ისტორიულმა პირობებმა. და პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ ხასიათმა და ასეთმა დამოკიდებულებამ უცხოსადმი იხსნა საქართველო ფიზიკური განადგურებისაგან (რასაკვირველია უცხოში მე მტერს არ ვგულისხმობ). ასე რომ, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ შემწყნარებლობაში დევს ჩვენი ფიზიკური არსებობის ქვაკუთხედი და შეუძლებელია ვანგრევდეთ იმას, რასაც ჩვენი ყოფიერება ემყარება. ამიტომაა ასე მწარე, როცა გიმღვრევენ და გიბილწავენ იმას, რითაც თავი მოგაქვს და გეამაყება.

ვინც დაკვირვებულია უთუოდ შეამჩნევდა ოსი სეპარატისტების გამომწვევსა და უხეშ ტონს საქართველოსა და ქართველების მიმართ, როცა ისინი გაზეთით ან ტელევიზიის საშუალებით გამოდიან. დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, ვისი იმედითაც გვექცევიან აგრე აგდებულად. ნეტავ მზის ქვეშეთში მაინც არის ერთი წიგნწაკითხული ოსი, რომელსაც მართლა სჯეროდეს სამხრეთ ოსეთის ოსეთობა? მაგრამ ისე არიან გულმოცემულნი და გაქეზებულნი, რომ ისტორია, კულტურული მემკვიდრეობა, ნაშთი სიძველეებისა, ათასჯერ წაბილწული, ძჩვრადაა მათ ხელში ქცეული. არავითარი ლოგიკა, არავითარი საბუთი. საკუთარ სამშობლოში მიწას გვართმევენ და საზღვარს გვიტარებენ. აი, ამ ვითარებას ეთქმის ალბათ უპრეცედენტო.

სენკოვსკი, კატკოვი, ვერმიშევი, ასტაფიევი, სტაროვოიტოვა... ეს დიდი პოლიტიკის ერთიანი ჯაჭვის რგოლებია, წინასწარ მოფიქრებული, საიმედოდ შეკრული, საკატორღე ბორკილების მსგავსი. ამ პოლიტიკის გამტარებელთ კარგად ვყავართ შესწავლილნი, იოლად გვიმორჩილებენ, რადგან იციან, რა გვეტკინება ყველაზე მეტად, რა გამოგვიყვანს წონასწორობიდან, და ზოგჯერ ისე ტექნიკურად გვაგდებენ ნამუსზე, საკუთარ თავს ჩვენვე გვალანძღვინებენ ხოლმე. რასაკვირველია, მათთვის ასე სჯობია და ჩვენშიაც ხომ არ დაილევა მსოფლიო მოქალაქე, რომლის ინტერნაციონალური „შახსეი-ვახსეი“ სიმწრის ოფლს აწმენდინებს ხოლმე ისედაც შევიწროებულ, ლტოლვილსა და გამწარებულ ქართველობას.

საინტერესოა, საიდან უჩნდება ასეთ ხალხს სურვილი — ექსპერტის როლი ითამაშონ მოვლენების შეფასებაში, რომლის გარშემო მათი ცოდნა ჭორის დონით შემოიფარგლება. ცხინვალსა და მის რაიონში ჩასვლისა და სათანადო მასალის მოძიებაზე რომ არაფერი ვთქვათ, სასტუმრო „აფხაზეთთან“ მაინც გაიარონ და ნახონ საქართველოში ლტოლვილი ქართველები, გაფერმკრთალებულნი და დაღლილნი, როგორ სხედან გრანიტის კიბის ფილებზე და გალიაში გამომწყვდეულის გულგრილობით აცქერდებიან ქუჩაში მოფუსფუსე თბილისელებს. იქნებ ზოგიერთს გონია, რომ თბილისში ცხოვრება ის შევბაა, რომლის წინაშე აღარავითარი ტკივილი აღარ არსებობს. გადაავლეთ, ბატონებო, დღევანდელ პრესას თვალი და დარწმუნდებით, როგორ

# სენსაციური მკრეხელობა

სოლომონ ხუციშვილი

ფრანგი მწერლის ბუვიეს რომანის — „იზას“ ქართული თარგმანი 1879 — 1880 წლებში დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“. რედაქტორი „ივერიისა“ იყო ილია ჭავჭავაძე. მანვე რუსული ენიდან თარგმნა ფრანგი ავტორის ეს ნაწარმოები და დაბეჭდა თავის ბეჭდვით ორგანოში. შემდეგ, 1892 წელს, ეს თარგმანი მან შეიტანა თავისი თხზულებების მეოთხე ტომში (იგი დაიბეჭდა ორ წიგნად), ხოლო 1989 წელს ეს თარგმანი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (ოც ტომად) მეოთხე ტომში მოთავსდა.

**დღეს გვეუბნებიან: ილია ჭავჭავაძე კი არ ყოფილა მისი მთარგმნელი, არამედ სხვა. გამოდის, რომ ილია ჭავჭავაძეს სხვისი თარგმანი თავისი სახელით თავისსავე ჟურნალში გამოუქვეყნებია და შემდეგ ეს სხვისი თარგმანი თავის თხზულებათა გამოცემაში მოუქცევია!**

ეს „სხვა“ ყოფილა ცნობილი ქართველი მთარგმნელი, მეტად სიმპატიური მოქალაქე ივანე მაჭავარიანი (დაბადებული 1863 წელს). აი, ამ მთარგმნელს უთარგმნია „იზა“ და მისი თარგმანი მიუთვისებია ილია ჭავჭავაძეს.

როცა ილია ჭავჭავაძემ „იზას“ თარგმანი „ივერიაში“ გამოაქვეყნა, მაშინ ივანე მაჭავარიანი 16 წლისა იყო. „იზა“ საკმაოდ მოზრდილი თხზულება არის და მთარგმნელი მას ერთი ხელის დაკვრით უცბად ვერ თარგმნიდა. სავარაუდებელია, რომ ნაწარმოების გამოქვეყნებამდის მთარგმნელს რამდენიმე თვით ადრე მაინც უნდა დაეწყო მუშაობა მის თარგმნაზე. მაშ, ივანე მაჭავარიანი დაახლოებით 15 წლისა უნდა შესდგომოდა ამ საქმიანობას. მართალია, ზოგი ადრე იწყებს საზოგადოებრივ-შემოქმედებით მოღვაწეობას, მაგრამ ივ. მაჭავარიანს 16 წლისას არაფერი აქვს გამოქვეყნებული. პირველი მისი თარგმანი 1893 წელს დაიბეჭდა, როცა მთარგმნელი 30 წლისა იყო. ეს პირველი გადმოთარგმნილი თხზულება იყო ბრანდესის „სტუმარი“, რომელსაც 1894 წლიდან მოჰყვა სტრინდბერგის, ზოლას, ლოტტის, ერკმან-შატრიანის, ერვეის, დოდეს და სხვათა თხზულებათა თარგმანები. თავისი შრომით ივ. მაჭავარიანმა დიდი ამაგი დასდო ქართულ მწერლობას. ბუვიეს რამდენიმე მოთხრობა მანაც გადმოთარგმნა ფრანგულიდან, ესენია: „ქვრივი“, „ბატონო მსაჯულო“, „ძეგლი“, „ბავშვის ძალა“, „მეგობრები“, „დავიწყებული“ და „ქვეყნის მანათობელი“ (ბუვიეს თხზულებათა თარგმანები ივ. მაჭავარიანმა დაბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1894 წლის მეათე და მეთერთმეტე ნომრებში).

პლ.კეშელავამ, მ.ზანდუკელმა, ფ.გოკიელმა და მ.იამანიძემ „რატომღაც მიაწერეს“ ილია ჭავჭავაძეს „იზას“ თარგმნაო, — წერია წერილში. კანონით ეს „მიწერა“ ბრალად უნდა დასდებოდათ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის სარედაქციო კოლეგიას და მეოთხე ტომის რედაქტორსაც, რომელთაც „იზას“ თარგმანი შეტანილი აქვთ ი.ჭავჭავაძის თხზულებათა უკანასკნელ გამოცემაში...

ამ სენსაციურ ცნობებს გვაწვდის ს.თურნავა გაზეთ „ქართული კულტურის“ ამა წლის 24 აპრილის ნომერში. მასში ისიც წერია: „რადგან ბატონი ივანე (მაჭავარიანი — ს.ხ.) როგორც ვიცით, „მოამბის“ რედაქციაში მუშაობდა, საქმის კურსში იყო, რომელი ავტორის მასალა იბეჭდებოდა, თვითონ იყო ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელი და იცოდა ყველაფერი, ვინ რას თარგმნიდა“. აქ მსჯელობის ლოგიკა არ ჩანს. ივ.მაჭავარიანი „მოამბეში“ მუშაობდა, მაგრამ რატომ უნდა სცოდნოდა მაინცა და მაინც სხვა რედაქციებს რა აზრები ჰქონდათ? განა ივ.მაჭავარიანი თარგმნილი ლიტერატურის გამგებელი იყო მაშინდელ საქართველოში? რაც მთავარია, „იზა“ რომ ილიას თარგმანი ყოფილიყო, — აგრძელებს ავტორი — მას (ე.ი. ივ. მაჭავარიანს) უსათუოდ ეცოდინებოდა“. ჩვენ ვუმატებთ, რასაკვირველია, ივ.მაჭავარიანს უსათუოდ ეცოდინებოდა, რომ ფრანგი მწერლის ნაწარმოები ილია ჭავჭავაძემ რუსული ენიდან ნათარგმნი დაბეჭდა „ივერიაში“, ეცოდინებოდა, რადგან ივ.მაჭავარიანი უგონო არ იყო. ეს ფაქტი (რომ „იზა“ ილიას თარგმანი რომ ყოფილიყო ივ.მაჭავარიანს აუცილებლად ეცოდინებოდა — ს.ხ.) მწერალს გონებაში ჩარჩა და 50 წლის შემდეგ გაიხსენა თავის „მემუარებში“ — აგრძელებს ს.თურნავა.

ცხადია, ივ.მაჭავარიანს ახსოვდა, რომ მანაც თარგმნა ბუვიეს თხზულებები და 50 წლის შემდეგ ჩაწერა თავის მემუარულ ნაწერში, მაგრამ რა არის ჩაწერილი იმ „მემუარებში“? ნათქვამი არ არის — დასახელებულია თუ არა ბუვიეს თხზულებათა მაჭავარიანისეულ თარგმანებში „იზა“?

ივანე მაჭავარიანის „მემუარები“ თურმე შეიცავს ჩვიდმეტ გვერდს და მალე დაიბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“. „აქ ნათლად ჩანს მწერლის მიერ შესრულებული ყველა თარგმანი“-ო, გვეუბნება ასეთი ქართულით ავტორი. ვნახოთ როგორ ნათლად გამოჩნდება „მწერლის მიერ შესრულებული ყველა თარგმანი“. ისე კი წერილის ავტორს აუცილებლად უნდა ეთქვა — ივ.მაჭავარიანი თავის თარგმანთა შორის ასახელებს თუ არა „იზას“? თუ ასახელებს, მაშ ივ.მაჭავარიანსაც უთარგმნია იგი არა რუსულიდან, არამედ ფრანგულიდან, მაგრამ არ გამოუქვეყნებია, რადგან ილიას თარგმანი ორჯერ უკვე იყო დაბეჭდილი „ივერიაში“ და ი.ჭავჭავაძის თხზულების ოთხტომიან გამოცემაში.

ამის გარეშე იმის მოფიქრება და დაწერაც, რომ ვიღაცამ მიაწერა ილია ჭავჭავაძეს ამ ნაწარმოების თარგმნაო, სრული აბსურდია. არავის არაფერი მიუწერია ილია ჭავჭავაძისათვის, თვით მან დაადასტურა, რომ „იზა“ მისი თარგმნილია და მისგანვეა ორჯერ დაბეჭდილი XIX საუკუნის 80 და 90-იან წლებში.

ს.თურნავას წერილის სათაურია — „რა სატკივარს მალავდა „მემუარები“. წერილის ავტორი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ ერთი საუკუნეა ეს სატკივარი არსებობს და მისი მიზეზი არის ილია ჭავჭავაძე. ეს მიმაჩნია მე სენსაციურ მკრეხელობად!.

# ჩვენი გულქვაობა ჩვენივე ხალხის მიმართ

(დასაწყისი მე-6 გვ.)

ეხვეწება სამაჩაბლოს ქართველობა ჩვენს ნეოინტერნაციონალისტებს, დაანებონ თავი დიდი სიფრთხილით, ხათრქვეშ, ეაჯებიან და ემუდარებიან, ემანდ უფრო არ გავაბრაზოთ და უარესი არ დაგვმართონო. შვილმოკლულები, გულმოკლულები, სახლკარდანგრეულები, შეურაცხყოფილები, კიდევ ბევრს აიტანენ, მაგრამ იმას არა რაც იყო. ოღონდ აქ ბრძოლა კი არ იგულისხმება, არამედ ის ურთიერთობა, რაც ბრძოლებამდე იყო, ანუ ის ტენდენცია, რომელიც საქართველოს ამ „ყველაზე მეტ საქართველოში“ ამცირებდა ქართველს. ვისაც ჩემს ნათქვამში ეპარება ეჭვი, ჩავიდეს სამაჩაბლოში, გამოკითხოს ხალხს და თავადაც დარწმუნდება ასეთი განწყობილების სიმართლეში. სამწუხაროდ ჩვენებურ ნეოინტერნაციონალისტებს მათი აზრი ყველაზე ნაკლებ აინტერესებთ, რას გაიგებ სხვის წუხილს, როცა შენ აქ, თბილისში, კალამი გაგიალმასებია და მსოფლიო მოქალაქის პოზაში მყოფს იმის ფიქრით გიხურს თავი, თუ როგორ მოიდგა ფეხი ელიტარული კიბის საფეხურზე. ახალი გამოსავლის ძებნაში, როგორც ირკვევა, საქმე იქითკენ მიდის, რომ თითქმის სამაჩაბლოელი ქართველები უნდა გამტყუნდნენ ამ ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. ისევ ჩვენიანის ნამუსი უნდა შეიბღალოს, ისევ ჩვენიანის პირი უნდა გატყდეს, ისევ ჩვენიანს უნდა დაატყდეს მორალური პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დამცირება ვერ აიტანა. ხოლო სანამ ეს მოხდება, უნდა დამუშავდეს თემა ჩვენი ავყიაობის, უხასიათობის, გაუტანლობის შესახებ და როცა მაგრად დავიწიხლებით, იძულებულნი ვიქნებით სინდისის ქეჯნით შევინანიოთ ჩვენი ღრძო ხასიათი. ჰოდა, ამის შემდგომ ის დაბრუნებული ოსები, რომელთა უმრავლესობამ სახლ-კარი გაყიდა და ჩრდილოეთ ოსეთში გადაიხვეწა, რა ბაზმასაც დაუნთებს სამაჩაბლოელ ქართველობას, ამასაც ვნახავთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ნეოინტერნაციონალისტები უფრო მეტს სწუხან ოსი ლტოლვილების ბედზე, ვიდრე ქართველებისაზე და ეს გასაგებიცაა, რადგან მათთვის მთავარია სახელი არ გაუტყდეს ქართულ ინტერნაციონალიზმს (ოღონდ, ვის თვალში გაუგებარია). ხოლო ქართველების სასოწარკვეთილ ყვირილს ვინ გაიგებს ან ვინ მოუსმენს, კიდევაც რომ გაიგონოს?

პირდაპირ გასაოცარია, მე პირადად თითქმის ყოველდღე ვხვდები სამაჩაბლოელ ქართველებს, არც იქ ჩასვლაზე ვიხევ უკან, ვსაუბრობთ, ყვებიან თავიანთი დაწუხებული მდგომარეობის შესახებ, ურბენენ გარშემო სამთავრობო შენობებს, ითხოვენ დახმარებას (ოღონდ არა მაკარონსა და კარტოფილს), რომ იტყვიან სახეზეა ფაქტი ქართველთა ნამდვილი გენოციდისა. იწერება ამბიციური წერილები.

ძალიან სამწუხაროა რომ ამ უკანასკნელი მოტივით დაწერილი სტატიები ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების აპოლიტიკურ ფენაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე, რომლისთვისაც შურისძიების მანკიერება ჯერ კიდევ არ გამხდარა მისი ლაღი ხასიათის თვისება.

ამასთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გავიხსენოთ ბატონ გურამ ყორანაშვილის „დროში“ გამოქვეყნებული წერილი (№ 13, 1992 წ.) შემაძრწუნებელი სათაურით: „ჩვეულებრივი ფაშიზმი და სინდისის ხმა“, რომელიც მიძღვნილია ბორჯომელი დემოკრატების დასაცავად (ორი ადგილობრივი გაზეთის თანამშრომელი და სამი დაწყებითი სკოლის პედაგოგი); ამ პირებს „გამსახურდიასეული ჩვეულებრივი ფაშიზმის დროსაც“ კი ყოფნიათ გამბედაობა ხმა აღემაღლებინათ უსამართლობის წინააღმდეგ. საქმე ეხება სამაჩაბლ გარეთ, საქართველოს სხვა რაიონებში მაცხოვრებელ ოსებს, რომლებიც ბატონი გურამის თქმით „შესაძლოა, მართლაც თანამშრომლობდნენ ყოფილ ოლქში მცხოვრებ ოს ექსტრემისტებთან. ვთქვათ რამდენიმე ათეული და თუნდაც ასეული კაცი, მაგრამ განა ეს გარემოება საფუძველს გვაძლევდა დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ასი ათასი ოსიც დამნაშავედ გამოგვეცხადებინა?“ ჯერ ერთი, აუცილებლობა მოითხოვდა ამ შემთხვევაში ავტორს დაესახელებინა ვინაობა კაცისა, ვინც ეს მახინჯი აზრი საზოგადოდ განაცხადა, მეორეც, როცა სამშობლოს ნაწილს გტაცებენ, სახლ-კარს გიწვავენ, ცხენის ძუაზე გათრევენ, ცოცხლად გწვავენ, აკვნებში ბავშვებს ესვრიან, მოხუცებს ხვრეტენ, ხოლო ასი ოსი, შესაძლოა ორასიც, იქნებ ხუთასიც, უკანასკნელ ლუკმას იძრობს პირიდან, ფულს კრეფს, იარაღს ყიდულობს და თავის თანამოძმეებს უგზავნის ცხინვალში ქართველების საჟლეტად, შენ თურმე იობის მოთმინებით უნდა აღიჭურვო, დაელოდო მართლმსაჯულების განაჩენს და როცა სამართალი პურს ჭამს, სინდისდამშვიდებული წამოხვიდე შინისაკენ. ფაქტია, რომ ბატონი გურამი ძალზე ჰუმანური ადამიანი ბრძანდება. მაგრამ სამწუხაროდ ომი ასეთ კანონებს არ ცნობს. ძნელია გავეშებული ადამიანის გაჩერება, როცა მას ექსტრემისტის გაგზავნილი იარაღით, ძმას, ძმიშვილს, ბიძასა და სხვა უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანს უკლავენ. ასეთი ვითარების გათვალისწინება ჩანს მის წერილში, როცა ამბობს: „ქართველებმაც ხომ შეცდომა დავუშვით და ჩვენი უნიათობისა თუ სხვა თვისებების მიზეზით ავყევით ოდიოზურ აგრესიულ ძალებს, რის მძიმე შედეგებსაც უკვე ვიმკით“. ქართველების უნიათობაზე ლაპარაკის უფლების მოპოვებას (მიუხედავად ბ-ნი გურამის შრომისუნარიანობისა), ტიტანური გარჯა ესაჭიროება და ვფიქრობ, ეს უსიამოდ ჟღერს, ხოლო საქართველოში მაცხოვრებელ ოსებს რომ მადლი ჰქონოდათ (და ეს მათ ვალდებულებას შეადგენდა), იმ ათ, ას თუ ხუთას კაცს თვითონ გამოუტანდნენ უმკაცრეს განაჩენს, მერე ადგებოდნენ, შეერთდებოდნენ, ცხინვალის გზას ფეხით გაუდგებოდნენ და მტრადმოკიდებულ მეზობლებს შეარიგებდნენ. ეს არ გახლავთ უტოპიის სფერო ან ზღაპრის პასაჟი, ეს იყო სავსებით რეალურად შესასრულებელი ვალდებულება, რომელიც ჩვენდა გასაოცრად არ იკისრა ამ ასი ათასმა ოსმა, აქა-იქ კანტიკუნტად მოქმედი, რამოდენიმე ჯგუფის გამოკლებით. ბატონი გურამი დაცვას კისრულობს ადამიანებისას, რომლებიც ასე ამკობენ ქართველობას: „რა გვემართება ხალხო, ოს ექსტრემისტებს ხომ არ ემსგავსება ქართველი კაცი, განა ესაა ჩვენი ქრისტიანული ზნეობა, განა სწორია ერთი ხელით პირჯვარი დავიწეროთ და მეორეთი ვძარცვოთ?“ „ხალხი“, „ქართველი კაცი“ და „ქრისტიანული ზნეობა“, ხედავთ რა სათამაშო და ენისსაფხან სიტყვებადაა ქცეული ბორჯომელ პრესის მუშაკებისათვის! ბუნებრივია ისინი ასეთ რამეს ვერ გაბედავდნენ უფრო ცნობილი ნეოინტერნაციონალისტების იმედი რომ არ ჰქონდეთ. რა შუაშია ან ერთი ან მეორე ან მესამე? განა ქურდი, ბანდიტი და მკვლელი აკლია მსოფლიოს, თუნდაც ძალზე დემოკრატიულ ქვეყნებს, მაშ რას დაუჟინებიათ ეს „ქართველი კაცი“. რა გახდა ეს „ქართველი კაცი“ ასეთი, რომ შეუძლებელია მასაც გააჩნდეს მიდრეკილება მკვლელობისა და ბანდიტობისაკენ. განა ერში შესაძლოა, რომ ყველა პიროვნება თანაბარ ზნეობრივ სიმაღლეზე იდგეს. განა თავაშვებული დამნაშავენი ასევე სასტიკად არ არბევენ იგივე ქართველ ხალხს. მაშ რა არის ეს გაუთავებელი თვითგვემა, ეს გაუცნობიერებელი სიბრიყვე.

რაც შეეხება ბატონ გურამ ყორანაშვილის ქომაგობას, იგი ერთადერთი მიზეზითაა გამოწვეული: არ გაუშვას ხელიდან არცერთი შემთხვევა, რომელიც ყველაზე დიდი „ფაშისტის“ დასამარებისათვის [illegible] ვის ქართველებისაგან ოსების შევიწროებაზე უფრო მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ ამას აკეთებენ ზვიად გამსახურდიას მომხრენი „ეროვნული მოძრაობის სახელით“ და რომ უბრალო, პატიოსანი (თუნდაც პროვინციული) მუშაკები აღშფოთებულნი იყვნენ ასეთი წინასწარგამიზნული გენოციდით. ხოლო ბატონი გურამი უქებს მათ „სინდის — ნამუსს“, „ჰუმანიზმს“, „რაც საბედნიეროდ გამსახურდიასეული ზნეობრივი ფაშიზმის დროსაც კი მთლად არ დაკარგულა ჩვენში“. რასაკვირველია იყო შემთხვევები როცა „სრულიად უდანაშაულო ოსური წარმოშობის ადამიანებს აიძულებდნენ იაფად გაეყიდათ ბინა და ვლადიკავკაზში გადასახლებულიყვნენ“. მაგრამ განა ბინების ყიდვა-გაყიდვა ის სფერო არაა, სადაც უდიდესი მოგება ტრიალებს, ვის შეუძლია ამ ხალხის ალაგმვა, განა პატრიოტიზმი და ეროვნული სახის დეკლარაციები აუკრავს მათ მადით აღძრულ პირებს. ბოდიშს ვუხდი ბატონ გურამს, მაგრამ იქნებ არ დაიზაროს და გადახედოს 3 აპრილის გაზეთ „საქართველოს“ (№ 13, 1992 წ.), სადაც გაეცნობა ვლადიკავკაზელი ქართველების განცხადებას, რომლებმაც ბინები გაცვალეს იქიდან აქ, და ახლა თბილისში არ წერენ იმიტომ, რომ იქაური ამოწერის დოკუმენტი არა გაქვთო. ამაზე მეტი ცინიზმი შეიძლება? (თავი რომ დავანებოთ იმ 10.000 მანეთს, რომელიც შვილებისათვის პურის ფულის უქონელ გამცხადებელთ არ გააჩნიათ და რომელსაც ვლადიკავკაზელი ბიუროკრატები ითხოვენ, არსებობს საშიშროება ძალზე რეალური, რომ ისინი ამოწერის ბლანკების ჩამოსატანად რომ წავიდნენ, შესაძლოა იქ ტყვეებად იქნან აყვანილნი). ეს ხალხი ახლა არ მოქმედებს „ტირანიისაგან“ თავისუფალ საქართველოში? მაშ რა ვქნათ, რომელ ეროვნულ მოძრაობაში ვეძებოთ მათი გულქვაობის მიზეზი? საინტერესოა როგორ შეაფასებდა ბატონი გურამი მათ მოქმედებას.

დასამალი არაა, რომ დღეს ქართველობის დიდი ნაწილი იმედით შესცქერის მომავალს და ამ მომავალში იგი პირველყოვლისა გულისხმობს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას. ქართველობას არც არასდროს მოუთხოვია და არც არასდროს მოითხოვს, თავიანთი კეთილდღეობის ფასად შელახული იქნეს ჩვენში მაცხოვრებელი ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. პირიქით, ყველა ჩვენიანის ვალია ხელს უწყობდეს მათ კულტურულ ავტონომიას და ძმურ დახმარებას სთავაზობ[illegible]ვრების ყველა სფეროში. მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავიმაღლოთ ხმა ჩვენი დაბეჩავებული თანამოძმეების უფლებების აღსადგენად. საქართველოში მაცხოვრებელ ქართველებსაც ის უფლება უნდა ჰქონდეთ, რაც სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ესაა და ეს.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ ოფიციალურ შეხვედრებზე უკვე გაისმის ხმები რეპატრიანტთა ახალ-ახალი ტალღების შემოსახლებისა საქართველოში. ვფიქრობ, რომ ეს ერთი შეხედვით ჰუმანური აქტი გამოიწვევს საშინელ ანტიჰუმანურ ზემოქმედებას ისევ და ისევ ქართველი ხალხის მიმართ. საქართველოს ერთი გოჯი მიწის გაცემა არ შეუძლია არავისათვის. ჩვენ საქართველოში მაცხოვრებელ ეროვნულ უმცირესობასთან ერთად დიდი ძალისხმევა გვმართებს, რომ შთამომავლებს ფეხის მოსაკიდებელი ადგილი დარჩეს ისედაც გაგლეჯილსა და გამოგლეჯილ საქართველოში.

10 აპრილი 1992 წელი

# მეექვსე მკვლელი

**გოდერძი ჩოხელი**

ეს წერილი ხუთი წლის წინ დავწერე, მაგრამ მაშინ ვერსად ვერ შევძელი მისი დაბეჭდვა. რატომღაც ამ წერილის გულისთვის მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტში დამიბარეს, მერე ილიას საიუბილეოდ თითქოს ერთ-ერთ (არ ვასახელებ) გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო, შეიტანეს კიდეც ნომერში, მაგრამ გათენდა დილა, გამოვიდა გაზეთი და...

მას აქეთ ხუთი წელი გავიდა და იმდენი რამ მოხდა, იმდენი დაიწერა პრესაში, ახლა დაუჯერებელიც კი არის, რომ მაშინ ეს წერილი ვერ დავბეჭდე.

უბედურმა შემთხვევამ საქართველოს კიდევ ერთი საყვარელი შვილი წაართვა. ჩვენს გვერდით აღარ არის კინორეჟისორი ომარ გვასალია... ამიტომ მოვძებნე ხუთი წლის მერე ეს წერილი. ძალიან მინდა, რომ დაიბეჭდოს და თქვენც ისევე დაინახოთ ომარი, როგორსაც მე ვუყურებდი მას.

ვფიქრობ, ილიაზე ლაპარაკი საქართველოს ბედზე ლაპარაკს ნიშნავს და რაკი ამის უფლება მე ჯერ-ჯერობით არ მომიპოვებია, ამიტომ წინასწარ ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშეც და ასევე კინორეჟისორ ომარ გვასალიას წინაშეც, რადგანაც მის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან", შესახებ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი.

წინასწარვე მინდა განვაცხადო, რომ ეს ფილმი მომწონს, ძალიან მომწონს და ამიტომაც უფრო ვუხდი მის ავტორს ბოდიშს, რომ სურვილი ერთია — საზოგადოების წინაშე გამოვთქვა ჩემი აზრი, — შესაძლებლობა კი მეორე; შეიძლება რამე ისე ვერ ვთქვა, როგორც ამ ფილმს ეკადრება. ალბათ ასეთ შემთხვევაში მკითხველი იტყვის, მაშინ ხომ დუმილი სჯობდაო, მაგრამ სწორედ ეს დუმილი არ შემიძლია და სწორედ ამიტომ მივიქცევ რამოდენიმე ხნით მკითხველის ყურადღებას.

ამას წინათ ეს ფილმი საქართველოს ტელევიზიით უჩვენეს, მანამდე კი კინოს სახლის მცირე დარბაზში მოეწყო პრემიერა და როცა ფილმი დამთავრდა, ერთ-ერთმა მაყურებელმა გულწრფელად თქვა: ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ილიას მკვლელობის მონაწილე ვიყავიო. ვფიქრობ, ამაზე უფრო დიდი შეფასება შეუძლებელია, თუმცა ფილმის ავტორს, ალბათ თვითმიზნად არ გაუხდია რომ ყველა მაყურებელს ასეთი განცდა დაუფლებოდა, ეს უფრო მაყურებლის სინდისზე და პატიოსნებაზეა დამოკიდებული. წესიერმა და პატიოსანმა კაცმა იცის, რომ ის ერის განუყოფელი ნაწილია და როცა საკითხი ილიას მკვლელობას ეხება, იგი თავის თავზეც იღებს ულირსი მოძმის ცოდვას, აღიარებს, რომ „მეექვსე მკვლელია".

ვინ არის „მეექვსე მკვლელი"?

აი, ეს არის საფიქრალი და ყოველი ჩვენთაგანისათვის საკუთარ არსებაში პასუხის გასაცემი კითხვა, კითხვა რომელიც ისე ოსტატურად და თითქოს სხვათაშორის არის ფილმის ფინალში დასმული, რომ სულაც არ გატანს ძალას ავტორი, შენს თავზე „მეექვსე მკვლელის" ცოდვა იკისრო; იგი მხოლოდ ხატავს, დოკუმენტალისტის სიზუსტით ხატავს იმ საშინელებას, რაც წიწამურის გზაზე მკვლელებმა ჩაიდინეს. კადრში ბუნდოვნად, ერთი გაელვებით, თითქმის არც კი ჩანს მკვლელების სახეები. ისტორიამ არ უნდა იცოდეს ეს არაადამიანური სახეები, ისინი უსახონი არიან. ანდა რა სახე უნდა ჰქონდეთ ადამიანთ, რომელთაც, ვაჟას თქმისა არ იყოს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელებს რომ შეეძლოთ, თვითონ საქართველოს მოჰკლავდნენო".

კადრში ჩვენ პანორამით ვხედავთ ხუთ ბუნდოვან სახეს, რომელთაგან ერთი 1908 წელს პოლიციასთან შეტაკებისას იქნა მოკლული, სამნი ორი წლის შემდეგ გაასამართლეს, ერთი კი 34 წლის შემდეგ.

ხოლო მეექვსე მკვლელი ჯერ-ჯერობით უცნობია. მისი ადგილი ფილმში ღიად დაუტოვებია ავტორს.

ვინ არის „მეექვსე მკვლელი?"

იქნებ ყოველი ჩვენთაგანი, ვინც ამ ფილმის ნახვის შემდეგ, იმ მაყურებელივით საკუთარ თავზე აიღებს ამ საშინელ ცოდვას.

იქნებ იმ დანარჩენ ხუთივით კონკრეტული და უსახური ადამიანი, რომელმაც

დანარჩენებზე მეტად მოახერხა შენიღბვა და რაღაცის თუ ვიღაცის წყალობით, დღესაც იმალება, ჩვენს შორის არის, ჩვენ მას ვხედავთ, მაგრამ რატომღაც გვეშინია მისი მხილება; ამიტომაც არის, რომ ყოველი ჩვენგანი, — ვინც ილიას მკვლელს ვხედავთ, ხელს ვაფარებთ და არ ვამხელთ, — თავისუფლად შეიძლება ვიწოდოთ „მეექვსე მკვლელად" და თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თავი ფილმში საამისოდ დატოვილ ღია კადრში.

იქნებ ის ქართველია „მეექვსე მკვლელი", რომელმაც ნებით თუ უნებლიედ, არ იცის ილია და ამით უსახო ხდება, როგორც ქართველი. თუმცა, „არ ცოდნა არ ცოდვააო", მაგრამ ილიას არცოდნა, ჩემი აზრით, ყველა ცოდვაზე უფრო მძიმეა დღევანდელი ქართველი კაცისათვის, მითუმეტეს ახალგაზრდობისთვის, რადგან ილია სწორედ მომავალში ხედავდა საქართველოს იმედს.

ჩემი აზრით, ამ ფილმში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა ვიცით ახალგაზრდებმა ილიას შესახებ, რომელიც მთელი სიმწვავითაა აქ დაყენებული. სამწუხაროდ, ირკვევა, რომ სტუდენტებში უმრავლესობამ არც კი იცის, ჰქონდა თუ არა ილია ჭავჭავაძეს პუბლიცისტური წერილები. თითქოს ერთი შეხედვით ამის არცოდნა ახალგაზრდებისთვის არც ისეთი დიდი ტრაგედიაა, მაგრამ...

იქნებ ის მასწავლებელია ილიას „მეექვსე მკვლელი", ვინც ვერ ახერხებს გვასწავლოს ილია.

იქნებ იმ დამალული „მეექვსე მკვლელივით" შენიღბული, დღესაც ცდილობს როგორმე მოგვწყვიტოს ილიას, როგორმე გათიშოს სამწყსო მწყემსისაგან და შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ უაზრო ფარას, იქით მისცეს გზა, საითაც მისთვის უფრო სახეიროა.

ჩინგიზ აითმატოვს შემზარავად აქვს დახატული მანქურთის სახე. ადამიანს, რომელსაც თავზე აქლემის ტყავს ჩამოაცმევდნენ, თმა შიგნით ჩაეზრდებოდა და ამით ავიწყდებოდა წარსული. იგი „პატრონის" სურვილის ბრმა შემსრულებელი ხდებოდა და შეეძლო მშობლის მოკვლაც კი.

დღეს ილიას არცოდნა ასეთ მანქურთობას წააგავს და რაკი მანქურთი სხვათა სურვილის აღმსრულებელია, იგი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს „მეექვსე მკვლელად".

რაკი ერთხელ დავმალეთ ჩვენს შორის „მეექვსე მკვლელი", შეიძლება სწორედ ამიტომაც ვინმეს არ მოეწონოს ფილმში ასეთი მხილება, — რაც ასე თუ ისე გვაჩვენებს ჩვენს დღევანდელ სახეს, — და უსაყვედუროს კიდეც ფილმის ავტორს ამ საშინელების სააშკარაოზე გამოტანა, ასეთებს მალვა ეხერხებათ და სხვასაც იმას უკიჟინებენ, შენც დამალეო, საბაბად საქართველოს სახელის „შერცხვენას" მოიტანენ ხოლმე და ასე გაჩუმებულებს ვიღაც უჩინარი თანდათან თავის ჭკუაზე გვაყენებს.

სხვა რომ არაფერი, ილია ყველაზე მეტად ებრძოდა სხვათა თვალწინ კოხტაობას, იგი პირველი ამხელდა ხოლმე ჩვენს ნაკლს და ამის წყალობით მტერიც მრავლად ჰყავდა.

ზოგიერთს შეიძლება ისიც არ მოეწონოს, რომ წყარო, რომელიც ილიას უყვარდა და იმ საბედისწერო დღეს ჩვეულებრივზე დიდხანს გაჩერდა მასთან, ასე მოუვლელი ჩანს კადრში. გზა, რომელზეც სიცოცხლის უკანასკნელი წუთები გაატარა ილიამ და რომლითაც მარადისობას შეუერთდა, დღეს ასე მოუვლელი და დანაგვიანებულია; ადგილიც კი არ არის ზუსტად აღნიშნული, სადაც ილია მოჰკლეს, აპარატი კი ამაოდ ტრიალებს ღორღებს შორის და ისმის წამყვანის ხმა: დაახლოებით სადღაც ამ ადგილას მოუკლავთ ილიაო.

რაღა თქმა უნდა, წყაროსა და გზის ლამაზად გადაღებაც შეიძლებოდა, მაგრამ ავტორი არ ადგას დამალვისა და შენიღბვის გზას; ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ პირველი თვითონ გახდებოდა „მეექვსე მკვლელი", ილიას ხომ ყველაზე მეტად ერის სატკივარის არგამხელა ეჯავრებოდა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ზურაბ ყიფშიძის ხმა. ერთია ტექსტი, და მეორე ვინ კითხულობს, როგორ კითხულობს, რა დამოკიდებულება აქვს ყოველ წარმოთქმულ სიტყვასთან. როგორც დოკუმენტური ფილმი, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" ვერ წარმომიდგენია ბატონი რეზო თაბუკაშვილის მიერ წაკითხული ტექსტის გარეშე, ასევე ვერ წარმომიდგენია ეს სურათი ზურაბ ყიფშიძის ხმის გარეშე.

მე აღარაფერს ვამბობ ფილმის დანარჩენ დადებით მხარეებზე, რომლებიც ფილმს ერთ მთლიან სიმფონიად კრავენ. ალბათ დამეთანხმებიან კინორეჟისორები, კინომცოდნეები და სხვანიც,რომ ფილმი მაღალი რეჟისორული ოსტატობითაა შესრულებული. პირადად მე, ისე ამ ფილმის ნახვის შემდეგ, დიდი სურვილი გამიჩნდა, როდესმე შევქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასევე საჭირო იქნებოდა ჩვენი ერისათვის. კიდევ უფრო შემიყვარდა კინო და კიდევ უფრო დავრწმუნდი მის ძალაში.

მე არ ვიცი, მხატვრულ ფილმში რა ხერხებით შეიძლება იმ შთაბეჭდილების მოხდენა, რასაც ამ ფილმში, ილიას მკვლელობის ეპიზოდში ბერდანის თოფის გამოსახულება იწვევს მაყურებელში.

უბრალოდ, ეკრანზე ნაჩვენებია ბერდანის თოფის სქემა და დიქტორი ყვება მის სიზუსტესა და შესაძლებლობებზე: ამ ტიპის თოფს ტყვია ოთხი ათას ნაბიჯზე მიაქვს, ილიას კი ხუთი-ექვსი ნაბიჯიდან ესროლეს, გვეუბნება ავტორი და ისეთი შემზარავია მოყოლილი ამბავი, რომ ძალაუნებურად იმასაც კი გაიფიქრებ კაცი: პოლკოვნიკ ბერდანს, წინასწარ რომ შესძლებოდა იმის განჭვრეტა, მის მიერ დამუშავებული თოფი [illegible] მეტად ქართველებისთვის რომ იქნებოდა საბედისწერო, ვფიქრობ თვითონვე დახევდა მის [illegible] ასე შემზარავია ფილმში [illegible] გაიგებ...

თოფი კი აქ არაფერ შუაშია, უმეცარი და უსახური შვილი ყველაზე უფრო საშიში იარაღია ერის ცხოვრებაში, იმ ერისა რომელსაც ღმერთმა ერთდროულად მოუვლინა ილია და „მეექვსე მკვლელი", რომელიც ბედის განგებით დღესაც აფარებს თავს ჩვენს შორის და ვინ იცის, იქნებ ყველა ჩვენთაგანშიც.

კიდევ ბევრი შეიძლებოდა ამ ფილმის ჰარმონიულობასა და მისი შემქმნელების მაღალპროფესიონალობაზე საუბარი. ამაზე, ალბათ, ჩემზე უკეთესად დაწერენ კინომცოდნეები და აქ დასმულ სატკივარზე დაფიქრებული ადამიანები, მე კი ერთხელ კიდევ ბოდიშს ვიხდი დიდი ილიას სულთან, ქართველ საზოგადოებასთან და ფილმის რეჟისორთან, თუ რამე ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭირო იყო.

ბოლოს კი მინდა გამარჯვება ვუსურვო ილიას აზრს, რომელსაც ვერავითარი ბერდანის ტყვიით ვერავითარი მტერი ვერ მოჰკლავს; გამარჯვება მინდა ვუსურვო ამ უკვდავი აზრის საგანს, საქართველოს, რომელიც ადრე თუ გვიან თვალგამართული დაინახავს საკუთარი სულის სარკეში თავის ნამდვილ სახეს; გამარჯვება მინდა ვუსურვო ამ ფილმს და მის შემქმნელ კოლექტივს.

ჯერ-ჯერობით კი სადღაც ჩვენს შორის დადის „მეექვსე მკვლელი".

**ხუთი წლის მერე კი მხოლოდ ამის დამატება შემიძლია:**

**დღეს-ერთმანეთს ვხოცავთ ქართველები.**

**— ერთმანეთს ვძარცავთ.**
**— ერთმანეთს ვატყუებთ.**
**— ერთმანეთს არ ვენდობით.**
**— ერთმანეთს არ ვინდობთ.**

**და**

**რაც მთავარია —**

**აღარ გვაქვს ერთობა.**

**და ასე ვცხოვრობთ ილიას საქართველოში,**

**და რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთ დროს, ასეთ ყოფაში გვტოვებენ ის კაი ქართველები...**

**საუბედუროდ, დღესაც ისევ და ისევ მძლავრობს „მეექვსე მკვლელი"...**

## განცხადება

**საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომები გაიმართება რეგულარულად ყოველი თვის მეორე და მეოთხე ოთხშაბათს, 13 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი,5, II სართული.**

**სსფ-ს სამდივნო**

## მშვიდობით იმპერია...

**სულ ცოტა ხნის წინ მათი სახელები სხვადასხვა ინტონაციით წარმოითქმებოდა — შიშით, რიდით, ფარული ირონიით... დღეს ისინი ისტორიის კუთვნილებად იქცნენ, თუმცა როგორც ჩანს, დავიწყება არ უწერიათ. რუსთაველის პროსპექტზე № 37 — ში ერთ კვირას მიმდინარეობდა საქართველოში ცვილის ფიგურების პირველი გამოფენა — ,,მშვიდობით იმპერია!" საბჭოთა იმპერატორთა გუნდი სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი ლენინიდან გორბაჩოვამდე. გასართობს რა გამოლევს ამქვეყნად. ამ ექსპოზიციის მომწყობი ფირმა ,,იგრიკა", ალბათ, კიდევ ერთხელ და არა უკანასკნელად დახმარებას აღმოუჩენს ,,ძლევამოსილ იმპერატორებს" და მათთვის დაარსებს მუზეუმს, რომელსაც პირობითად იმპერიის მუზეუმიც შეიძლება ეწოდოს. ეს ისე, ჩემი სუბიექტური ჟურნალისტური აზრი მოგაწოდეთ, რომელიც შეიძლება გასათვალისწინებელი არც იყოს.**

**მ.ტ.**

გამომცემლობამ „კიდევაც დაიზრდებიან" დასტამბა პოეტ დავით ტაკიძის ლექსების კრებული „ტაძართან", რომელიც შედარებით სრულად წარმოგვიდგენს შემოქმედის მიერ დღემდე განვლილ გზას. გთავაზობთ საჰაშნიკოდ მის ერთ ლექსს:

**დედა ღვთისმშობელო, გევედრები,**
**გზა ხსნისა გამოსახე სანატრელო,**
**ცრემლად დადენილო, ლოცვად აღვლენილო,**
**ჭვრების მისტერიავ ხ საქართველო!**
**თოკი მონურ ბედის იზნიქება,**
**სულს ლევს სატანური ძალა — კრული,**
**ისევ გაბრწყინდება ივერია,**
**ნინოს ნათლის თმებით შემოწნული.**
**ვაი, ნაწილ-ნაწილ აჩეხილო,**
**ვაი, გაყიდულო მიწავ ქართლის,**
**ვაი, აკუწულო. დებო ჩვენო,**
**გმინვად აღმომხდარო ხმაო ტაძრის!**
**მჯერა ხსნის წუთი ახლოვდება,**
**დიდი განათება დაიწყება,**
**ღმერთი შენთან არის საქართველოვ,**
**ჩვენი დამარცხება არ იქნება!**



მკითხველი ინტერესით გაეცნობა გამომცემლობა „მერანის" დასტამბულ ნიკო რეხვიაშვილის პოეტურ კრებულს — „ლაბირინთი".

გთავაზობთ ერთ ლექსს ამ კრებულიდან:

**ვეძებ სიმშვიდეს, მაგრამ სიმშვიდით**
**ნანუგეშებო როდი ვმშვიდდები,**
**საქართველოში ქართველს სისხლი მდის**
**ერის ავდრები და ამინდები.**
**სცადონ შებღალვა შენი სიწმინდის —**
**მიხმე და ვეფხვად წამოვფრინდები,**
**ჩემო სულისდგმავ, ნუ შემიშინდი,**
**ვერ გადასძოვენ შენ ცას ბინდები!**
**ცეცხლში ფოლადად ამოვშიშინდი,**
**დაჭიმულია ჩემი მშვილდები,**
**მავან მოყვასთა ვშფოთავ სიმშვიდით,**
**და სიკვდილშიაც ვერ დავმშვიდდები.**

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მწერალი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" პასუხისმგებელი მდივანი, შესანიშნავი მოქალაქე და პატრიოტი

გივი ჯოხაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66447

ფასი 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი